რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 4 თებერვალი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორ-ჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 28 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 28

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
ხელის მოწერის პირობები

1 თვით — 4 მან. 50 კ.
2 თვით — 9 მანეთი.
3 თვით — 13 მ. 50 კ.
6 თვით — 27 მანეთი
1 წლით — 50 მანეთი
ცალკე № ყველგან 20 კ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,

შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦIЯ „ЭРТОБА".

ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანეტა გიორგის ასული. შვილები ქეთო, პალადი და ზოია, დედა ბარბალე ამბაკოს ასული, ძმები: სეილან, რაფიელ, მაკარი და ივანე, რძლები: ოლინკა, ეფემია და მარო აუწყებენ ნათესავებს, რომ სამშაბათს 6 თებერვალს ს. ჭანჭათის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ დაკარგული

ეპიფანე ოქროპირის ძე გოგუაძის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი დედ-მამა სიმონ და ლისა, ძმები: კონსტანტინე, ილიკო და დომენტი, რძალი დროსიდა, ძმის წულები: აპოლონ, კარლო და პოლია, ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ სამშაბათს 6 თებერვალს სამებაში (გურია) სამების ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვალებულის ძვირფასის

ისიდორე სიმონის ძე გოგელიას

სულის მოსახსენებლათ. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამიდა ანნა და ილარიონ, მამიდაშვილები ნიკიფორე და კონსტანტინე, მამიდაშვილების შვილები პელაკი და ანასტასი ბურჭულაძენი ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 6 თებერვალს ს. სამებაში (გურია) სამების ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვალებულის ძვირფასის

ისიდორე სიმონის ძე გოგელიას

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

გულდამწვარნი დედ-მამა ივანე და მაშო, ძმები: ალექსანდრე და ლადიმერი მეკარაიშვილები, დაი ნინა და სიძე ვასილი ცალქალამიძეები გულითადის მწუხარებით ვაცნობებთ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასის

დარო გოგელიას ივანე მეკარაიშვილის ასულის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 6 თებერვალს სოფელ სამებაში (გურია). (2—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: მამამთილი სიმონ, დედამთილი ლისა, მაზლები: კონსტანტინე, ილიკო და დომენტი, რძალი დროსიდა, მაზლის შვილები: აპოლონ, კარლო და პოლია გოგელიები გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასის

დარო გოგელიას ივანე მეკარაიშვილის ასულის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 6 თებერვალს სოფ. სამებაში (გურია). (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ოლა, შვილები: კოტე და ელენა, ძმები: მიხეილ, დავით, ესტატე და თედო; დები: რახიელი, მარიამ და თებრო; რძლები: მარიამ, ანნა, სოფიო და მანია; სიძეები ზაქარია ყორღანოვი და კოტე ალნიაშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 2 თებერვალს დილის ხუთ საათზე უეცრათ გარდაიცვალა

ილია გიორგის ძე სუხიევი

პანაშვიდი ყოველს საღამოს შვიდ საათზე ნაძალადევის უბანში ალაჯინის ქუჩა საკუთარ სახლში. დაკრძალვა მოხდება კვირას 4 თებერვალს. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 9 ს. ნაძალადევის ეკლესიაში. (2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები: ლიმინე მახორბელის ასული და სევასტი სპირიდონის ძე, მეუღლე: ელენე ივანეს ასული, ძმები: კალენიკე, ვალერიან, არკადი და აფრასიონ, დები: მარო და ზაბლონია, რძალი ბარბარე ზაქარიას ასული და სიძე სიმონ ანდრიას ძე იმნაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას 4 თებერვალს ს. ორაგვის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად შავ ზღვაში დაღუპულ

ესე სევასტის ძე კვაჭაძის

სულის მოსახსენებლათ. (2—2)

ზავი ოსმალეთთან

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ხანგრძლივ თათბირის შემდეგ და რევოლიუციონური ცენტრების დასტურის თანახმათ გადასწყვიტა ოსმალეთის მთავრობას შეატყობინოს, რომ იგი პრინციპიალურათ თანახმაა მათთან საზავო მოლაპარაკება გამართოს და კავკასიის ფრონტზე საბოლოვო მშვიდობიანობა ჩამოაგდოს.

ჩვენ — ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია მუდამ და ყოველთვის წინააღმდეგნი ვიყავით ყოველგვარ სეპარატიული ზავისა და მით უმეტეს კავკასიის მაშტაბით. მაგრამ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. მას შემდეგ, რაც ბალშევიკების აგიტაციამ და საგარეო პოლიტიკამ რუსეთის ჯარი დაასუსტა და მას წინააღმდეგობის ყოველგვარი უნარი დაუკარგა, დასავლეთისა და კავკასიის ფრონტი დიდი ხანია ჯარით დაცალიერდა და მტრის წინააღმდეგ რუსეთის ჯარი აღარ სდგას.

ამ საშინელ მდგომარეობას ზედ დაერთო ბ. ლენინ-ტროცკის და მათი სამხედრო კომისარ კრილენკოს ომის გათავების სამარცხვინო დეკრეტი, რომელმაც მთელი რუსეთი ცენტრალურ სახელმწიფოების კოალიაციას კოლონიათ გაუხადა. ამის მერე ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ მთავრობას ყოველგარი საშულება მოესპო საერთაშორისო მაშტაბით ზავი ეწარმოებია. ცენტრალურ რუსეთს მოწყვეტილი ამიერ-კავკასია ეჭვს გარეშეა ვერ შესძლებდა დასახელებულ პრინციპის ცხოვრებაში გატარებას და იგი იძულებული გახდა მწარე სინამდვილის წინაშე დამდგარიყო. ჩვენ არ გვაქვს არც ფინანსიური, არც შეიარაღებული ძალა, რომლის მეოხებითაც შეგვეძლოს ომის გაგრძელება და მტრის მოგერიება.

აი ასეთ პირობებში ამიერ კავკასიის თავის ამარა მიტოვებული დემოკრატია იძულებული გახდა ოსმალეთის მთავრობასთან სეპარატიული ზავის ჩამოგდება მოახერხოს და ამ გზით საბოლოვოთ ბოლო მოუღოს ამ საშინელ ომს. ამიერ კავკასიის კომისარიატისა და რევოლიუციონური ორგანოების მიზანია ომი გაათაოს, ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნოს და მით ის ანარქია და ეკონომიური კრიზისი, რომელიც კი ამ საშინელ ომისაგან არის გამოწვეული თანდათანობით მოსპოს.

მაგრამ ამიერ კავკასიის კომისარიატი და მის ზურგს უკან მდგომი რევოლიუციონური დემოკრატია შეეცდება კავკასიის მაშტაბით მაინც დემოკრატიული ზავის პირობები ჩამოაგდოს. ოსმალეთის მთავრობასთან უანექსიო, უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აგებული ზავი შეკრას. მართალია ბალშევიკების ავანტიურულ საგარეო და საშინაო პოლიტიკის მეოხებით ჩვენ დასუსტებული ვართ, ჩვენ აღარ შეგვწევს იმდენი ძალა და ღონე ზავის დემოკრატიული პრინციპები შეიარაღებული ძალით დავიცვათ, მაგრამ რევოლიუციონური დემოკრატია სასოწარკვეთილებას არ მიეცემა, იგი ძალას მოიკრებს და ოსმალეთის მთავრობიდან დემოკრატიულ ზავის შეკვრას მოვითხოვთ. ასეთი ზავი ჩვენს წმინდა მიზანს შეადგენს და მას ენერგიულათ მოვითხოვთ. იმედია ამიერ-კავკასიის მომავალი სეიმი, რომელსაც დაეკისრა საბოლოვო ზავის ჩამოგდება, ყოველ ზომას იხმარს ოსმალეთთან დემოკრატიული ზავი ჩამოაგდოს და მით კავკასიის მცხოვრებნი განთავისუფლდენ იმ საშინელებისაგან, რომელსაც იგი ოთხი წლის მსოფლიო ომის მეოხებით განიცდის.

დაუყონებლივი და დემოკრატიული ზავი ხალხის არსებით მოთხოვნილებას შეადგენს და მის განხორციელებას ყოველ წუთს მოელის.

ამ ნიადაგზე ამიერ-კავკასიის კომისარიატის გადადგმული ნაბიჯი დიდი მნიშვნელოვანია ჩვენი შინაური ცხოვრების მოწყობისათვის.

ერიდეთ პროვოკაციას

დღეს ბალშევიკები საპროტესტო მიტინგების მოწყობას აპირებენ. ისინი არ აცხადებენ, თუ რა იქნება მათი პროტესტის საგანი. ამიტომ არ შეიძლება საზოგადოებას ცნობის მოყვარეობის გრძნობა არ აღეძრას. მართლაც რის და ვის წინააღმდეგ უნდა განაცხადონ პროტესტი ბალშევიკებმა. რას ჰპოულობენ დასაწუნს აქ, ამიერ-კავკასიის დემოკრატიის და მის მთავრობის მოქმედებაში? ხალხი, რომელმაც სოციალიზმისა და რევოლიუციის სახელით რუსეთის მცხოვრებთა ერთი ნაწილი მეორეს დაატაკა, ხალხი, რომელმაც ერთი კალმის მოსმით მოსპო კრების და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა გააუქმა—ნუ თუ ეს ხალხი კიდევ გაბედავს ადგილობრივ დემოკრატიის წინააღმდეგ რაიმე პროტესტი განაცხადოს?

დღემდის ზოგიერთი გულუბრყვილო კიდევ ჰფიქრობდა ბალშევიკებს მოქმედების მეთოდი არ უვარგათ, თორემ დემოკრატიისთვის კეთილი სურთო. რამდენიმეთ ჩვენც ვიზიარებდით ამ გულუბრყვილოთა შეხედულებებს, ყოველ შემთხვევაში ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ პირველ ხანებში ძალა-უფლების გრძნობით დამთვრალი ბალშევიკები გამოფხიზლდებოდენ და სინამდვილეს ანგარიშს გაუწევდენ. სამწუხაროთ, ჩვენ სასტიკათ მოვტყუვდით.

ბალშევიკებმა ომის საკითხზე ააშენეს მთელი თავისი მოღვაწეობა, ქვეყანას არწმუნებდენ: მენშევიკებმა ზავის ჩამოგდება არ მოისურვეს და ქვეყანას ღუპვენო. ამ ლოზუნგებით მოინადირეს მათ დაღლილ და შეუგნებელ სალდათთა მასსის გული და პირდაპირ გერმანიის მთავრობასთან იწყეს საზავო მოლაპარაკება. ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი გულისტკივილით ადევნებდა თვალ-ყურს ამ მოლაპარაკების მსვლელობას, ყველა ხედავდა, რომ ბალშევიკები შინ დემოკრატიას ასუსტებდენ, ჯარს ბრძოლის უნარს უსპობდენ და იმავე დროს ქვეყანას არწმუნებდენ—გერმანელები ჩვენს საზავო პირობებზე თანხმდებიანო.

და როცა გერმანიამ სთქვა ის, რაც ამ ბრძენებისთვის დაფარული იყო—როცა გერმანიამ არ მოისურვა უანექსიო ზავი—ბალშევიკებმა ამას დემობილიზაციით, ჯარების სახლში გაშვებით უპასუხეს: გერმანიამ არ მიიღო ჩვენი საზავო პირობები და ამიტომ ომი ჩვენის მხრით გათავებულიაო. ასე საოცრათ გასთელეს ბალშევიკებმა ფეხ-ქვეშ ხალხის უფლებანი, ასე წამოაჩოქეს მათ ვილჰელმის წინაშე მთელი რუსეთი.

განა ამის შემდეგ კიდევ შესწევთ რაიმე ზნეობრივი გამბედაობა პოლიტიკურ ასპარეზზე თავი გამოყონ. მაშ რის და ვის წინააღმდეგ მოუწოდებენ ისინი ხალხს საპროტესტოთ? ვინც მათ გაზეთებს კითხულობს ამ უკანასკნელ დღეებში, მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ბალშევიკები ბ. შაუმიანის გაძევების წინააღმდეგ ფიქრობენ პროტესტის გამოცხადებას.

ვინ არის შაუმიანი? ეს ლენინის მიერ დანიშნული კომისარია, რომელიც თავის მდივან ნიკოლოზ კუზნეცოვთან ერთად სალდათის ტანისამოსში გადაცმული, თოფით მხარზე ეშელონებში დადის და თფილისის წინააღმდეგ აქეზებს სალდათების შეუგნებელ ნაწილს. აი ამ ულირს „მთავრობის" დასაცავათ იწვევენ ბალშევიკები ხალხს, ამ კომენდატების გაძევების წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს ქუჩაში დემოკრატია.

დემოკრატია ღირსეულ პასუხს გასცემს ამ სოციალისტურ ქურქში გახვეულ უპასუხისმგებლო დემაგოგებს.

ერიდეთ პროვოკაციას.

პრესა

„იზვესტია"-ში ვინმე სტრანნიკი ბალშევიზმის ისტორიულ ფილოსოფიურ აზრის გაგებას ცდილობს.

„ბალშევიზმში ჩამარხულია, ამბობს ის, განსაზღვრული ისტორიული პრობლემები, რომელთა განხორციელებას ცდილობენ სახალხო კომისრები პეტროგრადში".

„ბალშევიზმი აწარმოებს საერთაშორისო პოლიტიკას, ბალშევიზმმა დასვა საკითხი სოციალისტურ წყობილების შემოღების. და ეს საკითხები უნდა იქნეს ყურადღებით განხილული და ამ ნიადაგზე წარმოებდეს ბრძოლა ბალშევიზმთან".

ეს მართალია, მაგრამ აბა დამისახელოს სტრანნიკმა ისეთი გაზეთი, ან პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც სწორეთ ამ ორ საკითხის გარშემო არ აწარმოებდეს ბრძოლას ბალშევიზმის წინააღმდეგ. ზავის მაგიერ სამარცხვინო ქედის მოხრა გერ. იმპერ. წინაშე, სოციალიზმის ნაცვლათ ეკონომიური განადგურება რუსეთის—აი რა შედეგი მოიტანა ბალშევიზმმა, ამ ორ მთავარ საკითხმა, რომელსაც ის წაეპოტინა.

სამაგიეროთ სტრანნიკს გამოუძებნია მესამე ისტორიული დანიშნულება ბალშევიზმის. ესაა რუსეთის სახელმწიფოებრივი აღდგენა და გამთელება. წინანდელი მთავრობა სტრანნიკის აზრით იმიტომ დაეცა, რომ სახელმწიფოებრივ მთლიანობას საკმაო ძლიერებით არ იცავდა. ბალშევიკური მასსა თურმე ინსტიქტიურათ გრძნობს ამ მთლიანობის აღმდგენელ სათავეს. და ბალშევიზმი შეუგნებლათ ეყრდნობა ამ სათავეს.

შეუძლებელია ისტორიული აზრის ამაზე უფრო გადაუკუღმართება. სწორეთ წინანდელი მთავრობა იბრძოდა სახელმწიფო მთლიანობისათვის და სეპარატისტულ მოძრაობას ეწინააღმდეგებოდა.

ბალშევიკები ამ სეპარაციის მოციქულად გამოვიდენ, ისინი ფინლიანდიის სრულ განცალკევებას თხოულობდენ, და ყველა დამორჩილებულ ერებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას და სხ. ნუ თუ ამაში დაინახა მასსამ მთლიანობის აღდგენისადმი მისწრაფებები?

ჩვენ გვგონია, რომ სტრანნიკი თავის ზრახვას უდებს გულში ბალშევიკებს, მას უნდა მასში დაინახოს ის, რაც ნამდვილათ ბალშევიზმში არ არის ჩასახული. მას უნდა მასში იხილოს თავის ლტოლვილებათა განხორციელება. გამთელება რევოლიუციურ ფრონტის, გაერთიანება რუსეთის, აღდგენა მისი მთლიანობის, დათრგუნვა სეპარატისტული მისწრაფებების. მაგრამ ისტორიის რა ბრალია, თუ ის ყველა მეოცნებეთა ფეხის ხმას ვერ აყვება? რუსეთის მთლიანობის აღდგენა შეუძლია მხოლოდ ისეთ ელემენტებს, რომელნიც თვით დგანან სახელმწიფოებრივ ნიადაგზე.

ბალშევიზმი ამ ნიადაგს უარყოფს. მაშ როგორ აღადგენს იგი მას? ეს სტრანნიკის საიდუმლოებას შეადგენს.

სტრანნიკს გონია, რომ ბალშევიზმი ამ სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ წარმოშვა. აქ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ავტორი ცხვირს იქით ვერაფერს ხედავს. ვთქვათ მართლაც, რომ კავკასიაში იგი ამ ნიადაგზე ღვივდება, მარა პეტროგრადსა და მოსკოვში რომელი სეპარატიზმი ასაზრდოვებდა მას? განა ამაზე მეტი უსუსური ახსნა ბალშევიზმის კიდევ შეიძლება?..

⁂

„სახალხო საქმე" სოციალდემოკრატიის შესახებ სწერს:

„ამ ბოლო დროს დიდ კრიზისს განიცდის სოციალდემოკრატიული პარტია. რევოლიუციას უნდა გამოეწვია პარტიის შეკავშირება და მთლიანობა. მაგრამ თავისუფლებამ რამდენიმე შეურიგებელ წრედ დაყო სოციალდემოკრატია და ლამის არის პარტია ნაფლეთებად გადაიქცეს. საჭირო აღარ უნდა იყოს ამ მოვლენის დამალვა".

რითი ასაბუთებს „სახალხო" ამ ახალ ამბავს? არაფრით, გარდა, იმისა, რომ აღნიშნავს ბალშევიკების გამოცალკევებას და კიდევ რაღაც ჯგუფის გაჩენას. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ბალშევიზმი ათ წელზე მეტია რაც არსებობს, ხოლო რაც შეეხება ახალ ჯგუფის გაჩენას, ჩვენ არ ვიცით ასეთი ჯგუფის გაჩენის ამბავი საიდ შეიტყო „სახალხომ". იქნებ მას „ალიონი"-ს უნიადაგო ინტელიგენტთა მცირე ჯგუფი ყავს სახეში?

შთაბეჭდილებანი

(ნახული და გაგონილი)

2

შამქორი.

აქსტაფაში თოფ-ზარბაზნის ზუილს შეჩვეულნი არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით თითო ორ ორ ტყვიას, რომელსაც აქეთ იქიდან გვესროდენ გზაში ჩასაფრებული თათრები. სალდათებიც თითქო გამხიარულდენ და გაქანებულ მატარებლიდან ძაღლებს და კურდღლებს უშენდენ ტყვიებს, რასაკვირველია უნაყოფოთ. ასეთი ამბით მივაღწიეთ შამქორის ხიდთან.

აქ ჩვენ თვალწინ საშინელი სურათი გადაიშალა. გული მწარეთ აკვნესდა. ვგრძნობდი, რომ აქ დიდი ტრაგედია დატრიალებულა, რომლის შედეგები დიდხანს დარჩება კიდევ ჩვენს ცხოვრებაში და შეიძლება საბედისწერო გახდეს ამიერ-კავკასიის დემოკრატიისათვის!

ჩემს პირადობაზე აღარ ვზრუნავდი. მარა ვგრძნობდი, რომ ბნელ აგიტაციას მიეცემოდა ძლიერი საფუძველი.

საღამო ხანი იყო, როცა ხიდს მივადექით: შამქორის ხიდთან ეყარა ერთ ლიანდაგზე ასამდე ვაგონი, ზოგი დამწვარი, ზოგი დაცარცული. მეორე ლიანდაგზე პირდაღეჯილი ეგდო ჯავშნიანი მატარებლის ორი ვაგონი. ზარბაზნის ტყვიას შეეხვრიტა მისი გვერდები. შიგ სისხლის ნაკვეთები იყო კედლებზე მოცხებული. ვაგონების აქეთ-იქით ჩირგვებში ეყარა გატიტვლებული გვამები მოკლულ-დახოცილთა. საშინელ და საზარელ სურათს წარმოადგენდა შამქორის მიდამოები. პატარა ხის ხიდი იწოდა. ზოგ ვაგონებს კვამლი კიდევ ასდიოდა, პირველი კითხვა, რომელიც დაიბადა ჩვენს თავში. ეს იყო უკან დაბრუნება. გზის გასწორებას დიდი დრო უნდოდა. მართალია აქსტაფიდან თან წავიყვანეთ სადგურის მოსამსახურეები, რკინის გზის „მასტერი" და სხვ. მარა რას უშველიდა ისინი ამ საქმეს?

ამ ჟამად მგონი ყველას დაგვავიწყდა სოციალური საკითხები და დაგვრჩა კითხვა ფიზიკური თავდაცვა. ჯარისკაცებმა აქაც თავისებური სიჯიუტე გამოიჩინეს. „წინ! გავაკეთოთ გზა და გავსწიოთ". ასეთი იყო მათი გადაწყვეტილება და ჩვენც უნდა დავმორჩილებოდით. შევუდექით ისევ გზის გასწორებას. მთელი ღამე თოფის სროლა არ შეწყვეტილა. ზარბაზნებსაც გამუდმებით გაქონდა გრიალი.

ესროდენ ახლო მდებარე სოფლებს შესაშინებლათ. რა ზიანი მოიტანა ამ ტყვიებმა არ ვიცი, რომ დღე ყოფილიყო ან პროჟექტორი გვქონოდა, შეიძლოთ მახლობელი მცხოვრებლები სულ გაენადგურებინათ, რადგან არტილერისტები, რომელთაც აფიცერი ხელმძღვანელობდა ჩინებული მსროლელები გამოდგენ და ნიშანს არ აცილებდენ.

მხოლოდ ღამე ვიგერიებდით გარშემორტყმულ თათრებს. მაღლიდან ბადრი მთვარე ამ საშინელ სურათს სრულის სიმშვიდით დასცქეროდა და თავის სხივებს ზარბაზან თოფების ტუჩებზე აციმციმებდა. მეტათ გულ გრილი ყოფილა ბუნება. იგი ჩვენს გულში არ იხედებოდა.

აქ რომ კვნესა ისმოდა, ეს მის გულს არ ხვდებოდა.

მარა ადამიანი თურმე ჯოჯოხეთსაც შეეჩვევა. ჩვენც შევეჩვიეთ ტყვიებს, ბრძოლას, ზარბაზნის გრიალს და ფანჯრიდან თვალს ვადევნებდით, სად აადენდა ბოლს დაცემული ზარბაზნის ტყვია. ვითვლიდით რამდენი ტყვია მოხვდებოდა ვაგონს, რასაც განსაკუთრებულ ხმაზე ვატყობდით. იყვენ რასაკვირველია მხდალებიც. მარა აბა ვისში არ არის სურვილი თავის არსებობის შენარჩუნების?

სანამ ჯარი გარშემორტყმულ თათრებს იგერიებდა ერთი ნაწილი ამხანაგებისა ინჟინერის და გზის ტეხნიკის ხელმძღვანელობით გაფუჭებულ გზას ასწორებდა.

ამ ღამესაც არა ერთი სალდათი დაიჭრა, რამდენიმე სასიკვდილოთაც. ერთგან ჯარი სროლით მივიდა თათრების სანგრებამდე და ჩასაფრებულნი სულ ხიშტებზე ააგო, გადმოგვცეს რამდენიმე ათეული თათარი დახოცესო, ოთხი მათგანი ტყვეთ ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ შტაბამდე ცოცხალი არ მოუყვანიათ.

გათენდა 11 იანვარი. დილისთვის გზა უკვე შეეკეთებიათ ენერგიული მუშაობით, ჩვენი ეშელონები ზლაზვნით, თოფის სროლით და ჯარისკაცების მიერ წრე შემოვლებული გაეშურა სადგურს შამქორისაკენ.

სანამ სადგურზე შევიდოდით, წინასწარ ახლო-მახლო მდებარე შენობებს ზარბაზანი დაუშინეს, რომ იქიდან გაერეკათ ჩასაფრებული თათრები. მთელ სადგურს ნახევარ ვერსის სიშორეზე ირგვლივ ცოცხალი წრე შემოერტყა ჯარისკაცებისა, რომელნიც მატარებლებს იცავდენ თავდამსხმელთაგან. თათრები მოურიდებლათ, ფანატიკურ თავგანწირვით მოიწევდენ მატარებლისაკენ, იძახდენ: „რუსო დავა რუჟიო" და ცდილობდენ ვაგონებზე შემოხტარიყვენ. გან-

საკუთრებით ეტანებოდენ წინა და უკანა ეშელონებს.

როგორც იქნა წინა ეშელონებმა მიაღწიეს სადგურს, რომელიც ხიდიდან, სადაც ღამე გავათიეთ დამსხვრეულ ვაგონების წინაშე, სულ ერთი ვერსი თუ იქნება. აქ უნდა წყალი გვეშოვნა ორთქლ მატარებლისათვის.

სადგურზე დაგვხდა სადგურის უფროსი და ერთი ტელეგრაფისტი, სახე გაფითრებული, აკანკალებული. სხვები გაქცეულიყვენ. წყლის ამომღები მანქანა არ მუშაობდა. დაგვჭირდა მისი ამოძრავება და წყლის ამოყვანა.

აქედან შევეცადეთ ტელეგრაფით განჯასთან გამოლაპარაკება. გვინდოდა გაგვეგო საქმის მდგომარეობა. ველოდით შველას, ბრბოსაგან დაფარვას.

აქამდე ჩვენ იმ აზრს ვადექით, რომ თავდასხმა ერთიანათ გაყაჩაღებულ და გათამამებულ ბრბოს საქმეა. მაგრამ მწარეთ მოვსტყუვდით. მოლაპარაკებამ გამოარკვია, რომ ეს თავდასხმა თათრების მიერ შეგნებულათ იყო მოწყობილი. განჯის თათართა კომიტეტმა ორჯერ გამოგზავნა ჩვენთან დელეგაცია. დილას დელეგაციამ ჩვენამდის ვითომ ვერ მოაღწია და უკანვე დაბრუნდა. დარწმუნებული ვარ განგებ, რათა საღამომდე იქ გავეჩერებიეთ. შემდეგ გვიმტკიცებდენ—ჩასაფრებულმა თათრებმა არ გამოგვიშვესო. მარა საღამოს ამბებმა ამ სიტყვების სრული სიყალბე გამოააშკარავა.

დაგვიძახეს ტელეფონით, რომ მეორე დელეგაცია 11 საათზე გამოვიდაო. მარა იგი ჩვენთან მხოლოდ საღამოს 4 საათზე მოვიდა, გზა კი სულ 30 წუთის სავალი იყო.

მოსვლისთანავე მათ იარაღის დაყრა გვთხოვეს. ჩვენ თავდასხმის შეწყვეტა მოვითხოვეთ, დროებით მორიგება ჩამოვაგდეთ: არც ჯარს, არც თათრებს თოფი არ უნდა ესროლათ. სროლა იმწამსვე შესწყდა. მათ მოსვლამდე ჩვენ უკვე რამდენიმე ვერსი გავიარეთ და შემდეგ პატარა სადგურს ალიბაშლას მივუახლოვდით. მოლაპარაკების დაწყებამდე სასტიკი ბრძოლა გადაგვხდა. თათრები მეტათ გვეძალებოდენ. ჯარი ვაგონებში ვერ ჩერდებოდა, რადგან ვაგონების უმეტესობა ღია, უკედლო ვაგონები იყო. ფართო წრე შემორტყმული, ნელა მიიზლაზნებოდა წინ მატარებელი. ზარბაზნები გამუდმებით ღმუოდენ. ჯარი სანგრიდან სანგარში გადადიოდა თოფის სროლით და ასე მიემართებოდა წინ, სწორეთ ამიტომ მთელ დღეს სულ რამდენიმე ვერსი გავიარეთ.

ჯარი გამუდმებულმა თავდასხმამ მოქანცა. ჯერ სადგურის გარშემო ბრძოლის დროსაც დაეტყო ზოგიერთ ნაწილებს დაღლილობა.

სადგურზე წყლის ამოსაღები მანქანა (ლოკომობილი) არ მუშაობდა. ლოკომობილის სადგურს თათრები ტყვიებს უშენდენ. საჭირო იყო მის გარშემო რაზმის ჩაყენება და მემანქანესათვის მუშაობის საშუალების მიცემა. მემანქანეს ორჯერ დასჭირდა გაქცევა სადგურიდან, რადგან მცველები ჩამოეცალენ. მესამეთ ძლივს, დიდის დავით მივაშველეთ მცველები. ჯარისკაცთა ნაწილს აღარ სურდა ბრძოლის გაგრძელება და სადგურში იმალებოდენ.

ეჭვი არაა თათრების ტაქტიკაც იმაში მდგომარეობდა, რომ ჯარი მოელალათ სისტემატიური თავდასხმით და შემდეგ არაქათ გამოლეული დაემორჩილებინათ. მარა ახალი წამოწეული ეშელონები შველოდენ საქმეს. ისინი იჭერდენ დაქანცულების ადგილს. საყურადღებოა, რომ იმ დროს, როცა ჩვენ დელეგაციას მოლაპარაკება ჰქონდა გამართული თათრებთან, ეშელონებმა ცალცალკე გამართეს თათბირი და რამდენიმე ეშელონმა დაადგინა, დაეტოვებიათ თათრებისთვის ყოველივე იარაღი, ოღონდ კი ისინი თავისუფლათ გაეტარებიათ.

11 იანვარს, ღამეს, რომელიც ალიბაშლაში გავატარეთ, უკვე დაძმობილება დაიწყეს თათრის ჯარისკაცებთან, რომელნიც გარს რკალივით ერტყენ ჩვენს ეშელონებს, მარა მორიგების თანახმათ თოფს არ ისროდენ. პირიქით ცეცხლი ჰქონდათ გაჩაღებული და ითბობდენ. მათ გაიგეს ჩვენი ჯარის ნაწილის სულმდაბალი დადგენილება. გაიგეს ისიც, რომ დანარჩენი ნაწილი მომხრე იყო სამხედრო წესით დაწყობილიყო და განჯის ასაღებათ წასულიყვენ, მით უმეტეს, რომ ახლათ მოსულ ეშელონებში საკმაოთ ბლომათ აფიცრები აღმოჩნდენ.

იმ ღამეს არც შტაბი ყოფილა უქმათ. თათბირმა მიიღო გარკვეული გადაწყვეტილება სახვალიოთ, თუ მორიგება არ მოხდებოდა, ყველა ეშელონებში დაინიშნა საგანგებო კომისარები, აფიცრებს მიეცა განსაზღვრული დირექტივები და სხვ.

მარა არ დაგვჭირდა ამ სტრატეგიის განხორციელება. 11, ღამეს, მოლაპარაკება მოხდა. მოვრიგდით და ამიტომ თოფი არ გავარდნილა.

თათრების მხრივ ჩვენთან იყო რამდენიმე დელეგატი, რომელთაც უნდა შეეჩერებია ბრბო, თუ იგი სროლას ასტეხდა. მათი დატოვება მართლაც საჭირო დარჩა. ორ-სამგან მათ მოახერხეს ჩასაფრებულ თათრების გარეკა შინისაკენ.

აქსტაფელი ტელეგრაფისტი მ. გაჰყვა ერთ ასეთ თათრის დელეგატს შემოსეულ ბრბოს ჩამოსაშორებლათ და აი რა მიამბო: დელეგატმა გამოუძახა სანგრიდან ჩასაფრებულ თათარს, გააწნა სილა ჯერ ერთ ყბაში, მერე მეორეში და უბრძანა: ასე დაულეწავ ყველას ყბებს, თუ ახლავე არ გასწევენ შინისაკენო.

უკანასკნელმაც გადასცა ჩასაფრებულთ მისი ბრძანება და სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი აიშალენ თხრილებიდან და მახლობელ ვენახს შეაფარეს თავი.

მთელი ღამე გაგრძელდა მოლაპარაკება თათრების კომიტეტთან. ბოლოს შევთანხმდით ასე: ერთი ბატარეია უნდა გადაგვეცა განჯაში თათრის ჯარისთვის თავის მოწყობილობით. მათ თავის მხრივ ხელი არ უნდა ეხლოთ ჯარისთვის.

ჩემი ღრმა რწმენით, რომ ხელმძღვანელები არ გამოსჩენოდენ ამ ჯარს, იგი იარაღს დაყრიდა.

საერთოთ დალეწილ ვაგონების შესახებ ბევრნაირი ცნობები გადმოგვცეს: ძნელია სავსებით სურათის აღდგენა, მარა შემდეგი ფაქტია: სამხედრო ჯავშნიანი მატარებელი და თათრების დივიზიის ნაწილი დაუხვდა ეშელონებს იარაღის ასაყრელათ. პირველი ეშელონები კიდეც დაითანხმეს ამაზე. იარაღის აყრის დროს წამოეწიათ ახალი ეშელონი ზარბაზნით, რომელმაც ჯავშნიანი მატარებელი დახვრიტა ტყვიით. ამას მოჰყვა საშინელი სისხლის ღვრა. თათრის ბრბო, რომელიც დამხმარეთ წამოეყვანათ ამ რაზმებს, დაესიენ ჯერ ჩამორთმეულ თოფებს და შემდეგ დაუწყეს რბევა და ხოცვა სალდათებს.

თათრები იკვეხდენ: ჩვენი სტუმარი, გმირი აფხაზავა მოგვიკლეს და სისხლი ავიღეთო.

მარა ნამდვილათ კი მთელ ამ მოძრაობას სულ სხვა სარჩული უდევს. თათრის ბეგები ხელაღებით ადებდენ ბრალს რევოლიუციონურ ორგანიზაციებს: მათ გვირჩიეს ამ გზით იარაღის მოპოვებაო. ქართველებმა და სომხებმა ჩაიგდეს ხელში თფილისის არსენალი, ჩვენ კი არ გვაძლევენ შეიარაღების საშუალებასო და სხვ. მარა ნამდვილი მათი გულის ზრახვანი სულ სხვა იყო. მათ უნდათ თათრის მასსა ჩამოაშორონ აგრარულ მოძრაობის ნიადაგს, რომელზედაც იგი უკვე შედგა და მიუსიონ რკინის გზას და რუსების სოფლებს. თათარს იარაღი უყვარს. ამით სარგებლობენ ბეგები. სოციალურ ბრძოლის ნაცვლათ ყაჩაღურ ნიადაგზე ამხედრებენ ხალხს.

ყველა იქ მყოფთათვის აშკარა შეიქნა ამ ბეგების რეაქციონური როლი, მათი სულისკვეთება, რომელიც რევოლიუციის დამღუპველია.

იმ წუთში ყველას დაავიწყდა კომისარიატი, თფილისი და სხვ. ყველამ იგრძნო, რომ განჯას გარშემო შემოქუჩულა შავი ღრუბელი რეაქციის და სისხლის წვიმებს ამზადებს. დღეს რუსის ჯარს ესხმის თავს და იარაღდება. ხვალ სომხებს აუტეხს ნაციონალურ ბრძოლას, ზეგ ქართველებს. ვგრძნობდით, რომ აქ ინასკვება სახიფათო კვანძი ნაციონალურ შეტაკებების, რომელიც საბოლოოთ დაასამარებს ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიას და მის წმინდა იდეალებს.

აქ რევოლიუციონური ფრონტი ჩვენი დელეგაციის თითქმის სავსებით გაერთიანდა, გამთელდა. აფხაზავას ჯავშნიანი მატარებელიც არ იწვევდა დიდ კამათს. მით უმეტეს, რომ დანტვრეულ ვაგონში ვიპოვეთ სისხლში მოსვრილი ნაწყვეტი დეპეშის, საიდანაც სჩანდა, რომ აფხაზავას ბრძანება მიეღო თფილისიდან, არავითარ შემთხვევაში ბრძოლა არ აეტეხა ეშელონებისთვის, და თუ საჭირო იქნებოდა, ბაქოში წასულიყო და დამალოდა მათ, უკეთუ ეშელონები დაჰკრას მოუნდომებდენ.

თათრებს ძალიან სურდათ თავის საქციელი თფილისის რევოლიუციონურ ცენტრებისა და მათი ბელადებისთვის მოეხვიათ თავზე, საბუთის ჩვენებასაც გვპირდებოდენ. მარა მათი სიტყვები არავის სჯეროდა.

12-ს, დილის 11 საათზე წავედით განჯაში, აუარებელი თათრის ბრბოები მოგვდევდენ გარშემო. სადგურზე თათრის ჯარი ძლივს აკავებდა თათრის ბრბოს, რომელიც ბაქანისკენ მოეშურებოდა, ვინ იცის, რა მძუნვარი მიზნით. აქ ექვსი ზარბაზნი ჩავაბარეთ თათრის დივიზიას.

რადგან ეშელონებ შორის ყველაზე მეტი სულმოკლეობა გამოიჩინა, მე-5 და მე-6 პოლკებმა, გადაწყვეტილ იქნა მათი ბატარეა ჩაბარებოდა თათრებს. თვით ამ ეშელონებმა კი დაადგინეს, ყველა იარაღი გადაეცათ თათრებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს ორი ეშელონი, როგორც ბალშევიკური სპეციალური მოწერილობით იყვენ გამოწერილი ბაქოს აღმასრულებელი კომიტეტისაგან, ალბათ ბალშევიკების სასამსახუროთ. მარა მათი სილაჩრის შემდეგ არა მგონია ისინი თუნდ ბალშევიკებსაც გამოადგებოდენ.

12-ს საღამოს განჯის სადგური დავტოვეთ. მცირეოდენი შეტაკებები და ხიფათი სხვა სადგურებზედაც შეგვხვდა. მარა ეს არავის მიუჩნევია შეტაკებებათ. გვხვდებოდა აგრეთვე ამბები, რომ თათრებს სპარსეთის საზღვრიდან მომავალი ერთი ეშელონისთვის აეყარათ იარაღი და ნუხიდან წამოსული რაზმისთვისაც. და ეს ამბები დამწვარზე ნავთის გადასხმას უდრიდა. მეტათ აღელვებული მივემართებოდით ბაქოსკენ. რ. ა.

(შემდეგი იქნება).

შეცდომის გასწორება. გუშინდელ წერილში შეცდომით სწერია: აქ სახლში 12 ათასი ერთათ ამოწყვიტეს, უნდა იყოს: „12 თათარი“ და სხვ. მეორეგან სწერია: „ადგილობრივ მცხოვრებს, რუსების“, უნდა იყოს: „არა რუსს“.

ზავი ოსმალეთთან

ოსმალეთთან ზავის საკითხის შესახებ ორი დღის თათბირის შემდეგ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ჯარების უფროსებთან, ამიერ-კავკასიის ცენტრებთან და ეროვნულ საბჭოებთან შეთანხმებით, დაადგინა შეატყობინოს ოსმალეთის ჯარების მთავარ სარდალს ვახიბ ფაშას, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა თანხმაა ოსმალეთის მთავრობასთან საზავო მოლაპარაკება დაიწყოს. მას წინადადება მისცეს შეატყობინოს იმიერ-კავკასიის კომისარიატს იმ პირთა სახელ გვარები, რომლებიც შევლენ ოსმალეთის მხრით საზავო დელეგაციაში. ამის შემდეგ ამიერ-კავკასიის კომისარიატი დაასახელებს თავის დელეგატებს, შემდეგ დანიშნავენ ადგილს, სადაც მოლაპარაკება დაიწყება.

სამოქალაქო ომი

უკრაინის ფრონტზე მდგომარეობა გამწვავდა. ორივე მებრძოლ მხარემ უკრაინის საზღვარზე თავი მოუყარეს დიდძალ ჯარს. იღებენ სამხედრო-ტეხნიკურ ხასიათის ზომებს. ტერეშჩენკოს სახელგანთქმულ შაქრის ქარხნების რაიონში რკინის გზა აყრილია. ბრიანსკიდან მატარებლები მოდიან მხოლოდ ზორნოვომდე. შემდეგ მგზავრებმა ფეხით უნდა გაიარონ რამდენიმე ვერსი. მათ წინასწარ აფრთხილებენ, რომ მიხაილოვოს „ხუტორთან“ იწყება სამხედრო მოქმედება.

კალედინის უკანასკნელი მოწოდება კაზაკებისადმი. დონის ოლქის მდგომარეობის დასახასიათებლათ მოგვყავს საყურადღებო ადგილები კალედინის უკანასკნელ მოწოდებიდან, რომლითაც მან მიმართა კაზაკებს.

„თქვენ ალბათ იცით,—ნათქვამია მოწოდებაში—რომ დონისაკენ მოდიან ლენინისა და ტროცკის მიერ გამოგზავნილი ჯარები წითელ გვარდიელებისა, დაქირავებულ ჯარისკაცებისა, ლატიშებისა და ტყვე გერმანელებისა. ეს ჯარი მოიწევს ტაგანროგისაკენ, სადაც ბალშევიკების ხელმძღვანელობით მუშებმა ამბოხება მოაწყვეს. მოწინაღმდეგეთა ასეთივე ჯარები ემუქრებიან სტანიცა კამენსკაიას და სადგ. ზვერევოსა და ლიხაიას. დონეცის ოლქში მდგარი ჩვენი კაზაკების პოლკები აჯანყდენ და დონეცის ოლქში შემოჭრილ წითელ გვარდიელებისა და ჯარისკაცების ბრბოსთან ერთად თავს დაესხენ წითელ გვარდიელების წინააღმდეგ გაგზავნილ რაზმს და გაჟლიტეს მისი ნაწილი. ამის შემდეგ ამ სამარცხვინო და საზიზღარ საქმის მონაწილე პოლკების უმრავლესობა დაიშალა, წავიდ-წამოვიდა სოფლებში, მიატოვეს არტილერია, დაარბიენ ფულის შესანახი, დაიტაცეს ქონება და ცხენები. უსტ-მედვედიცკის ოლქში ფრონტიდან დაბრუნებულ პოლკებმა ცარიცინიდან ჩამოსულ წითელ გვარდიელების ბრბოსთან ერთათ მოახდინეს სრული დარბევა ცარიცინ-სერებრიაკოვის რკინის გზაზე. ამით სავსებით მოსპეს ხოპიორისა და უსტ-მედვედიცკის ოლქების პურით უზრუნველყოფის საშუალებები. მიხაილოვკაში სცემეს აფიცრებსა და ადმინისტრატიულ პირებს, დაიღუპა 80-ამდე აფიცერი. სამხედრო ნაწილების გახრწნამ უმწვერვალესობამდე მიაღწია. დონეცკის ოლქის ზოგიერთ პოლკებმა ფულში მიყიდეს ზოგიერთი თავის აფიცრები ბალშევიკებს. საველე ნაწილების უმრავლესობა უარს აცხადებს შეასრულოს სამხედრო ბრძანებები დონის მხარის დასაცავათ“.

შემდეგ მოწოდებაში ნათქვამია, რომ დონის ოლქში რევოლიუციონურ წესრიგს ამჟამათ იცავს უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობა. დასასრულ კალედინი მოუწოდებს კაზაკებს შეადგინონ მოხალისეთა რაზმები ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

საყოველთაო მობილიზაცია დონის ოლქში. ჯარების ატამანმა ნაზაროვმა გამოსცა ბრძანება დონის ოლქში საყოველთაო მობილიზაციის შესახებ. ყველა, ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება, უნდა გამოვიდეს დონის დასაცავათ. უნდა მოეწყოს ქვეითი და ცხენოსანი დრუჟინები, რომლებიც მოიყრიან თავს ნოვოჩერკასკში.

კავკასიის ფრონტი

26 იანვარს ნაშუადღევის 3 საათზე ოსმალეთის „ჩეტნიკებმა“ დაიკავეს არდოსი, რომელიც გიუმიშ-ხანიდან 20 ვერსითაა დაშორებული ჩრდილოეთ—დასავლეთით. 30 იანვარს ქურთებმა, 300—400-ამდე კაცმა ალყა შემოარტყა ჩორობის ეტაპს, რომელიც მდებარეობს 50 ვერსის მანძილზე სამხრეთ დასავლეთით მამახათუნიდან. ქურთებმა რამენჯერმე მოიტანეს გაფთრებული იერიში, მაგრამ ისინი უკუაქციეს. ჩვენი ჯარისკაცები და მოხალისეები მძაფრათ და თავგანწირვით იბრძოდენ. საღამოს ქურთები წავიდენ, ძლივს მოასწრეს დაჭრილების და დახოცილების თან წაღება. ჩვენ მოგვიკლეს 1 ჯარისკაცი, დაგვიჭრეს 1 აფიცერი და 7 ჯარისკაცი.

გენ. ოდიშელიძემ დეპეშით მიმართა ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალს ვახიბ-ფაშას, რომლითაც მადლობას უძღვნის მას რუს ჯარისკაცების მიერ მიტოვებულ არტილერიის დასაცავათ ოსმალთა რაზმის გამოგზავნისათვის.

როგორც ბათუმიდან იტყობინებიან, ოსმალეთის „ჩეტნიკები“ მიახლოვებიან ბათუმს 40 ვერსის მანძილზე. ტრაპიზონში ჩვენს სამხედრო საგზალს ამჟამათ იცავენ ოსმალები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

განჯიდან მილიციის უფროსი კანდელაკი ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: ადგილობრივ მცხოვრებთა შორის განწყობილება ისეთია, რომ სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა რკინის გზის ბაქოს ნაწილის ლიანდაგზე მოუხერხებელია. თფილისიდან წამოსულ მატარებელს სადგურ ტაუზას იქით წასვლა არ შეუძლია.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსი ატყობინებს ამიერ კავკასიის კომისარიატს, რომ მას რკინის გზებზე შემდეგი შინაარსის ბრძანება გაუცია: 1) აიკრძალოს ვაგონების დატვირთვა, როგორც ადგილობრივ გზების სადგურებზე, ისე მეზობელ რკინის გზებიდან და ზღვის გზიდან იმ საქონლების გარდა, რომლებიც მცირე სიჩქარით იგზავნება ფოთის და ნოვოროსიის ნავთსადგურებიდან; 2) ახალ-სენაკის სადგურზე არ იქნეს მიღებული და არც სადგურიდან გაგზავნილი ოთხფეხი საქონელი; 3) შეჩერებულ იქნას ღვინისა და სპირტის მიღება, როგორც ადგილობრივ გზებზე, ისე მეზობელ გზებიდანაც და 4) შეზღუდულ იქნას საქონლების მიღება კავკავის რკინის გზიდან.

დებულება

ამიერ კავკასიის კომისარიატის ბონების შესახებ.

1) ამიერ კავკასიის ბონები გამოვა ასი მილიონი მანეთის.

2) ბონები გამოდის დროებით, სანამ თავიდან მოიშორებენ იმ მიზეზებს, რომლებმაც ქაღალდის ფულის უქონლობა გამოიწვია, რის შემდეგაც ეს ბონები ხმარებიდან გამოვა.

3) ბონებს გასავალი აქვს ამიერ კავკასიის საზღვრებში, როგორც სახელმწიფო ქაღალდის ფულებს და როგორც საკრედიტო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები ისე კერძო პირნი ვალდებული არიან აიღონ ეს ფული.

4) ბონები გამოდის ერთი, სამი, ხუთი, ათი, ორმოცდა ათი და ასი მანეთის ღირებულების.

5) ბონები მზადდება საფინანსო საქმეთა კომისარის განკარგულებით, დამზადების შემდეგ გადაეცემა სახელმწიფო ბანკის თფილისის კანტორას, რომელიც მას გამოუშვებს სახმარებლათ დებულების მეექვსე მუხლში აღნიშნულ წესით.

6) სახელმწიფო ბანკის თფილისის კანტორა უშვებს სახმარებლათ ბონებს ან თვით დამოუკიდებლათ ან სახელმწიფო ბანკის ამიერ კავკასიის განყოფილების საშუალებით, როცა მათ მაგიერ მიიღებს მის ღირებულებას სრულიად ქაღალდის ფულით ან ჩეკებით. სახელმწიფო ბანკის თფილისის კანტორა ხსნის ორ საგანგებო ანგარიშს დეპოზიტის—ბონების შესანახათ და მიმდინარე ანგარიშს იმ თანხების ჩასარიცხათ, რომლებიც ქაღალდის ფულათ ან ჩეკებით შემოვა ბონების ნაცვლათ.

7) მეექვსე მუხლში აღნიშნულ ანგარიშებიდან სესხება აკრძალულია. ანგარიშით უზრუნველყოფილია მანეთზე მანეთი. და ამ ანგარიშებიდან უნდა ჩამოსწერონ ხმარებიდან გამოსულ ბონების თანხები.

8) ის ბონები, რომლებზედაც ერთი მესამედი მოხეული იქნება და არც ხელის მოწერა და არც ნომერი არ იქნება ზედ, ხმარებიდან გამოდის.

ახალი ამბები

სულთანის გარდაცვალება. თფილისში მოსულ დეპეშების ცნობით გარდაცვლილა ოსმალეთის ყოფილი სულთან აბდულ-გამიდ მეორე.

◆ **მკვლელობა.** ხაშურიდან პირდაპირი მავთულით თფილისში ჩამოსულ წითელ გვარდიის შტაბში ამხ. ნ. იმნაიშვილს პირდაპირი მავთულით ატყობინებენ: ხაშურის ახლოს მდებარე სოფ. ოსიაურში თავს დასცემიან გიორგი ნ. ვიზირიშვილის ოჯახს, მოუკლავთ თვით ვიზირიშვილი, მისი ცოლი, ძმისწული და ქალიშვილი სასიკვდილოთ დაუჭრიათ, ხაშურში ეს ცნობა გადმოუციათ 2 თებერვალს დილით, მკვლელო-

მანიფესტი

კორეელთა მიმართ.

ამხანაგებო კორეელებო!

ჯერ კიდევ 1905 წელს, იაპონიის კონტრ-რევოლიუციონურმა მთავრობამ დაარღვია თქვენი ნეიტრალიტეტი და ანექსია უქნა თქვენს ქვეყანას. მას შემდეგ იაპონიის ბურჟუაზიულ—იმპერიალისტური მთავრობა სჩაგრავს თქვენს სამშობლოს. დრონი მეფობენ ამხანაგებო, და არა მეფენი. დღეს მთელს რუსეთში გამეფებულია ერთი კეთილშობილური ლოზუნგი „უანექსიო და უკანტიბრუციანო“ ზავის შესახებ. ამ ლოზუნგის მიხედვით, ყველა ერს უნდა მიენიჭოს სრული თვითგამორკვევისა და თვითმართველობის უფლება.

ჯოჯოხეთის სახალხო კომისართა სახელით განიჭებთ თქვენ, ამხანაგნო კორეელნო, სრულს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. დღეიდან თქვენ შეგიძლიათ თავისუფლათ მოაწყოთ თქვენი ცხოვრება და აღაორძინოთ ნაციონალური კულტურა.

ამ მიზნის განსახორციელებლათ ჩვენ ჩვენი ჯარი ჯერ კიდევ 1905 წელს გამოვიყვანეთ კორეის საზღვრებიდან, ხოლო დღეს გამოგვყავს დასავლეთ ფრონტიდან.

ასეთივე თვითგამორკვევის უფლება მივანიჭეთ ჩვენ

1) ინდოეთის გლეხობას და მუშათა კლასებს.
2) ეგვიპტეს.
3) კუნძულ ფორმოზას.

ეშმაკის მათრახი

ყოველ კვირეული სახუმარო ფურცელი.

ეშველა

(დარიგება მსუქანთა საყურადღებოთ)

სიმართლე თუ გსურთ მოგახსენოთ, მე არც კი გამიგია როდის, როგორ, ან რა პირობებში დაიწყო ეს პროცესი, და როდესაც მე მას ყურადღება მივაქციე უკვე გვიანი იყო: წინა წელთან შედარებით უკვე ფუთ ნახევარი მეტი ვიყავი წონაში.

პირველათ ამ სამწუხარო ამბავს ბურთის თამაშის დროს მივაქციე ყურადღება, როცა ბახვის ეწერში ექვთიმემ ერთი მუხლით გამისწრო და ლელო გაიტანა.

მთელი ღამე არ მიძინია.—როგორ, მე ექვთიმემ გამისწრო, სჩანს აქ რაღაც ამბავია—ვფიქრობდი ბნელს ოთახში და მიზეზი ვერ გამომერკვია. მხოლოდ მეორე დღეს ავიწონე დომენტის სასწორზე და ყველაფერი გამოირკვა.

მსუქანი სხვაც არ მიყვარს და რასაკვირველია საკუთარი პიროვნების დამძიმება უმეტეს არ მეჭაშნიკებოდა. ამიტომ გასაკვირიც არ უნდა იყოს ჩემი მწუხარება. მეგობართაგან არავინ დამიტოვებია, რომ ეს გარემოება არ შემეჩივლა. ააშენოს ღმერთმა მათი ოჯახი, ყველანი გულმტკივნეულათ მისმენდენ და რჩევა-დარიგებას მაძლევდენ.

— თუ გინდა წონაში მოიკლო, რომანებს დაეძალე. სერიოზული კილოთი მითხრა კირილემ.

მეც მაშინვე დავიწყე და მგონი არ დამიტოვებია არც ერთი რომანი ქართულსა და რუსულ ენაზე. ჩემი გულმოდგინება პირდაპირ საზღაპრო იყო, წარმოიდგინეთ ს. ქვარიანის ნაწერებიც გადავიკითხე, მაგრამ წონაში თუ ვმატულობდი, თორემ დაკლებას არაფერი ეტყობოდა.

— შე კაი კაცო, რომანის კითხვას სხვა ვინ გაუხმია, შენ თითონ უნდა შეჰქმნა რომანები. მცოდნე კაცის კილოთი მითხრა ხარიტონმა.

მეც დავუჯერე. ვიყიდე შვიდიოდ სკელი რვეული, საწერ-კალამი, კარანდაშები და დავიწყე წერა. რამდენი ღამე გავათენე. რამდენი დღე დავალამე ძნელი სათქმელია, მაგრამ მავნე პროცესი გასუქებისა, დღითი დღე ვითარდებოდა.

— არც კითხვა, არც წერა რომანებისა არაფერს მშველის, ვგონებ მომატყუეს იმ ოხრებმა. გაუმხილე ერთხელ ჩემს საუკეთესო ამხანაგს გიორგის.

— ტყვილათ დრო და შრომა დაგიკარგავს, საქმე დიეტაა. ნუ სჭამ ხორცეულსა, თევზეულსა და მცენარეულობას. არ დალიო არც ღვინო.

გიორგისაც დავუჯერე და აღვიკვეთე ყოველგვარი სასმელი, გარდა რომიანი კაკაოსი. საჭმელებში მხოლოდ კვერცხს ვჭამდი და ისიც დღეში მხოლოდ 40-50 ცალს, მაგრამ ჩემს სადარდელს მაინც არაფერი ეშველა. ამ ტანჯვაში რამოდენიმე თვე გავატარე და დასასრულ სასწორმა რამოდენიმე ზედმეტი გირვანქები მიჩვენა.

იმედი დაკარგული მქონდა, როცა სამზღვარ გარეთიდან დაბრუნებულმა მეგობარმა იორდანემ მანუგეშა:

— სიმსუქნე, ჩემო კარგო, ძილის ბრალია. ეცადე ნაკლები იძინო.

მეჭაშნიკა რჩევა და მას შემდეგ მთელ ღამეებს კარტის თამაშში ვატარებდი. ხან ჩემთან, ხან სხვისას ერთი აყალმაყალი და ჩხუბი გვქონდა. ვწვებოდი მხოლოდ გათენებისას და საღამომდე ლოგინში ვეგდე. მიზანს, რასაკვირველია ვერც ამით მივაღწიე.

გავიდა წლები. ათი ათასი სხვა საშუალება ვსცადე. ვინც რას მეტყოდა ყველაფერს მოწამებრივი თავდადებულობით ვასრულებდი, მაგრამ ჩემი სიმსუქნე პროგრესიულათ ვითარდებოდა. ვერაფერი უშველა ვერც საერთაშორისო ომმა და მისგან გამოწვეულმა სასურსათო კრიზისმა.

დასასრულ ჯერი რევოლიუციაზე მიდგა. მარტის პირველი დღეებიდანვე ვიგრძენ რაღაც სიმსუბუქე, მაგრამ ამას უფრო სიხარულს ვაწერდი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან საიდან სადაო, წმინდა საბაო, უცებ თავი რესპუბლიკაში ამოვყავი.

რევოლიუციამ დაიწყო გაღრმავება. ალექსანდრეს ბაღში მიტინგები შემოიღეს. დადგა „სამოსუდების“ ხანა. „სემიჩკის“ ნაჭუჭნით ქუჩები მოიკირწყლა. ანარქიის სხივმა ამოანათა. დავიწყე კრებებზე სიარული და პირველ კვირეშივე შევნიშნე განსაცვიფრებელი მოვლენა.

— წონაში 4 გირვანქა მოვიკელ. ევრიკა! ევრიკა მეთქი შემოვსძახე და დაუზოგავათ დავეძალე კრებებს. ფრონტის წარმომადგენელთა მეორე ყრილობაზე უკვე 13 გირვანქა დამაკლდა. განსაკუთრებით მიხდებოდა „ბოლშევიკების“ ლაპარაკი.

ამ აღმოჩენამ პირდაპირ ფრთები ამასხა. ბალშევიკების მოღვაწეობა იმ ხანად ცოტა მიწყნარდა, მაგრამ სამაგიეროთ მისი ადგილი „კრაევოი სოვეტმა“ დაიჭირა. დღითი დღე ვგრძნობდი თვალსაჩინო უმჯობესობას. 26 იანვრის კრებიდან როცა დავბრუნდი, წონაში ნორმალურზე უკვე ათი გირვანქით ნაკლები აღმოვჩნდი.

ამგვარათ ფაქტი აშკარაა. სიმსუქნის წინააღმდეგ კაცობრიობას ერთად ერთი საშუალება აქვს. ეს გახლავთ საზოგადოთ ბოლშევიკურ „კრაევოი სოვეტის“ კრებებზე სიარული. ამასთან საჭიროა იცოდეთ, რომ აუცილებელია ზომიერება თუ გადააჭარბეთ და ყველა კრებას დაესწარით, შეიძლება სრულიად გათავდეთ.

ეშმაკი.

P. S. აქ განზრახ გამოვტოვე ერთი უდიდეს საშუალებათაგანი სიმსუქნის წინააღმდეგ, სახელდობრ „ტელეფონი“. ეს იმიტომ, რომ ამ საგანზე ცალკე მსურს მოველაპარაკო ჩვენს პატივცემულ მკითხველებს. მადლობა ღმერთს გამოცდილება დიდი მაქვს.

ე—კი.

დეკრეტი 12 *)

ინტერესი რევოლიუციის გაღრმავებისა და დემოკრატიული რევოლიუციონური ფრონტის გაერთიანებისა მოითხოვს ჩვენგან საბოლოოთ გადავსჭრათ საკითხი მთავრობათა კონსტრუქციის შესახებ.

ამის გამო: ნებას ვაძლევთ ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა და ჭკუათ მყოფელობისა, მიითვისოს ის ტიტული, რომელიც მის გულს უმეტეს ესიამება დაწყებული „ჩინეთის ბოგდიხანობიდან“, ვიდრე „სახალხო კომისართა“ რწმუნებულამდე!

მათ ეუფლებათ:

ა) შედგენა მთავრობათა პორთფელთა განაწილებით.

ბ) წერა დეკრეტებისა, რომელიც არავისთვის სავალდებულო არ უნდა იყოს.

გ) ამა მთავრობას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ბეჭედი, მაგრამ არას შემთხვევაში არა აქვს უფლება იქონიოს საკუთარი ბინა, ვინაიდან საკუთარ ბინაზე შეიძლება თავს დაესხას რომელიმე სხვა მთავრობა და დაიჭიროს იგი.

ჯოჯოხეთის სახალხო კომისართა თავმჯდომარე ეშმაკი.

მდივანი სახალხო კომისართა
შაუმიანი.

---

*) დროებით შეწყვეტილი დეკრეტმდებლობა ეშმაკისა კვლავ განახლდა. „ეშმაკის მათრახის“ მე 50 ნომერში დაიბეჭდა მისი უკანასკნელი დეკრეტი „კუდების“ მოსპობის შესახებ.

ბა კი მომხდარა წინა დღით საღამოს 8–9 საათზე. ფიქრობენ, რომ ეს მხეცობა მოწყობილი უნდა იყოს ადგილობრივ ბნელი ძალების მიერ. ბოროტ-მოქმედნი ჯერ არ აღმოუჩენიათ. ხაშურიდანვე იტყობინებიან, რომ გორის ახლოს დასცემიან ვილაცას. მოუკლავთ 3—4 დამცემთაგანი, საერთოთ ხმებია, რომ დგება სოფლებში ერთგვარი ჯგუფები ნაძირალებისაგან, რომლებიც მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლას ზემოდ დასურათებულ სახით აწარმოებენ. ამ მიზნებისთვის ბევრი თავდაცვის საბუთით მოითხოვს იარაღს. თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, მოსალოდნელია ანარქიის და ძარცვა-გლეჯის გამეფება.

◆ **დაპატიმრება.** 10.000 მანეთის გაფლანგვისთვის დააპატიმრეს სრულიათ რუსეთის საერობო კავშირის ხაზინადარი.

◆ **„ალ-ბაირაკ“.** გუშინ გამოვიდა მუსულმანურ ენაზე სოციალისტური გაზეთი „ალ-ბაირაკ“-ი („წითელი დროშა“).

◆ **„არმოოტვოდი“** შემდეგს ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამხრეთ შტოზე მდგომარეობა თანდათან მწვავდება (ჯულფიდან განჯამდე). ხშირდება სადგურებზე თავდასხმა. თუ შესაფერი ზომები არ იქნა მიღებული, შესაძლებელია მდგომარეობა ისე გამწვავდეს, როგორც ეს თფილის-ბაქოს შუა რკინის გზაზე იყო. ამით დიდათ შეფერხდება ჯარის სპარსეთისა და ვანის რაიონებიდან გადმოყვანა. „არმოოტვოდი“ სთხოვს კომისარიატს მოაწყოს იქ სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლებთაგან დამცველი რაზმი. თავის მხრივ „არმოოტვოდი“ რკინის გზის ცენტრ. კომიტეტთან და მუსულმანთა და სომეხთა ნაციონალურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით გზავნის აღნიშნულ რაიონში დელეგაციას, რომელიც გამოარკვევს ადგილობრივ მდგომარეობას და უკიდურეს შემთხვევაში დახურავს გზას.

◆ **საჭიროა აბრეშუმის თესლი.** ბახვის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ყველა დაწესებულებებს აცნობონ მას, თუ სად იშოვნება აბრეშუმის ჭიის თესლი.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია პირველ რაიონის, ნაძალადევისა და დიდუბის კულტურულ-განმანათლებელ კომისიის წევრთა კრება.

— დღეს, 12 საათზე „თფილისის კრუჟოკის“ საზამთრო შენობაში დანიშნულია კრება ყველა ინჟენრებისა და ტეხნიკოსების, რომლებიც ტეხნიკურ ძალთა კავშირის სხვადასხვა სექციებში ჩაეწერენ. საჭიროა ყველა დაესწროს.

— დღეს, საღამოს ხუთის ნახევარზე „ნაკადულის“ რედაქციაში (მამადავითის ქ. № 2) შესდგება ქართველ ქალთა კონგრესის მომწყობ ბიუროს მეორე კრება. ამ კრებაზე არჩეული იქნება ბიუროს პრეზიდიუმი. წევრებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრან.

— დღეს, დილის 10 სათ. უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია სტუდენტთა საერთო კრება. განსახილველია საორგანიზაციო და ტეხნიკური კითხვები.

— დღეს, 12 საათზე მოხდება საქართველოს ეროვნულ საბჭოს კრება.

პროვინციის ქრონიკა

დ. ხარაგოული. შესდგა ადგილობრივი რკინის გზის და სოფლის მუშებისაგან წითელი გვარდია რიცხვით 120 კაცამდე. მან აირჩია ხელმძღვანელი ბიურო, იარაღი მიიღო და ამ დღეებში სამხედრო ევარჯიშობას შეუდგება.

წიგნთსაცავ-სამკითხველო 3—4 თვეა დაკეტილი იყო. ამ ჟამათ ღიაა, მაგრამ ჯერც ერთ გაზეთს ვერ ნახავ შიგ. ეს მიეწერება სამკითხველოს გამგეობის უმოქმედობას.

ადგილობრივი სასადილოები და ღვინის სავაჭრო დუქნები თავდაცვის კომისიამ დაკეტა, რადგან რამდენიმეჯერ გაფრთხილების შემდეგაც განაგრძობდა ზოგიერთი მიკიტანი ღვინით ვაჭრობას.

მილიციონერები მეტად უმწეო მდგომარეობაში არიან. ჯამაგირი ცოტა აქვთ და იმასაც ვერ ღებულობენ თავის დროზე. საჭიროა ამ მოვლენას მიექცეს ყურადღება ვისგან ჯერ არს.

შესდგა სარაიონო საადგილ-მამულო კომიტეტი. ის მუშაობას უკვე შეუდგა.

ადგილობრივათ სასწავლებლებში სწავლა ორი კვირით შეწყდა, ვინაიდან მასწავლებლები გაფიცულნი იყვნენ. 29 იანვრიდან სწავლა განაახლეს.

კავკასიის მუშ., ჯ.-კ. და გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრში

2 თებერვალს მოხდა აღნიშნულ ცენტრის სხდომა. თავმჯდომარეობდა ამხ. ა. აზატიანი.

პირველ ყოვლისა არჩეულ იქნა 2 წარმომადგენელი, (ჩიკალინი და სახნოვსკი), რომლებმაც უნდა გააცილონ თფილისიდან მიმავალი ეშელონები.

შემდეგ ამხ. ე. გეგეჭკორი იძლევა ცნობებს, თუ რა ნაბიჯები გადადგა ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ზავის საკითხში. ჩვენ ამას წინათ მივიღეთ ოსმალეთის მე-3 არმიის უფროსისაგან დეპეშა, რომელშიაც ოსმალეთის მთავრობის სახელით წინადადებას იძლეოდა ჩვენ მათთან ზავი შეგვეკრა—ამბობს ე. გეგეჭკორი. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ზავის საკითხი რუსეთის საერთო საკითხია, ამიტომ ჩვენ არ შეგვეძლო ამ საკითხში სეპარატიულ გზას დავდგომოდით. შემდეგ ორატორი აღნიშნავს იმას, თუ როგორი გადაწყვეტილება გამოიტანა მაშინ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით. ეს გადაწყვეტილება ეცნობა ყველა რუსეთში არსებულ მთავრობებს, მათ შორის ბოლშევიკთა მთავრობასაც. ამიერ-კავკასიის კომისარიატი 1 თებერვალს ელოდა მთავრობებიდან პასუხს, მაგრამ პასუხი არავისგან არ მოსულა. ამის შემდეგ ამიერ-კავკასიის კომისარიატი ფაქტიურათ, დარჩა მხოლოდ თავის ანაბარა და უკანასკნელათ, 1 თებერვალს, კომისარიატს ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით გადაუწყვეტია შეუდგეს საზავო მოლაპარაკებას ოსმალეთთან. ეს აუცილებელი ნაბიჯია განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებულ იქნა დეკრეტი ცენტრალურ სახელმწიფოებთან საზავო მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ. ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებისაკენ პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იქნება დეპეშა, რომელსაც 3 თებერვალს გაუგზავნის კომისარიატი ოსმალეთის ჯარების მთავარ-სარდალს ენვერ-ფაშას. შემდეგ ტეხნიკური ნაბიჯები მდგომარეობენ მოსალაპარაკებლათ ადგილის და დროის დანიშვნაში და საზავო დელეგაციის შედგენაში.

ამხ. ვ. ჟუღელი მოითხოვს განმარტებულ იქნას, თუ როგორ უყურებს ამიერ-კავკასიის კომისარიატი კრილენკოს მიერ გამოქვეყნებულ დეკრეტს.

ამხ. ე. გეგეჭკორი ახასიათებს ხსენებულ დეკრეტს, ააშკარავებს იმას, თუ როგორ გაკოტრდენ ბოლშევიკები ზავის საკითხში, როგორი საფრთხე მოუმზადეს მათ მთელ რუსეთის დემოკრატიას. აქედან ცხადია, თუ როგორი დამოკიდებულება ექნება კომისარიატს ხსენებულ დეკრეტისადმი. ამხ. ვ. ჟუღელის წინადადებით ცენტრი სრულ ნდობას უცხადებს კომისარიატს და იწონებს კომისარიატის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

ამხ. ე. გეგეჭკორი აკეთებს მოხსენებას ამიერ-კავკასიაში მომხდარ უკანასკნელ ამბების შესახებ. იგი ეხება ბ-ნ შაუმიანის კავკასიის „საგანგებო კომისართ“ დანიშვნას და აღნიშნავს, თუ რა ზომები მიიღო კომისარიატმა ბოლშევიკების ავანტიურის წინააღმდეგ. შემდეგ აღნიშნავს ეშელონების ფრონტიდან წასვლის საქმეს და ეხება იმ თავშეუკავებელ პროვოკაციას, რომელსაც ბოლშევიკები ეწევიან მიმავალ ჯარისკაცთა შორის. მოხსენებიდან ირკვევა, რომ მიმავალ ეშელონებში განწყობილება სრულებითაც არ არის ისეთი, როგორიც ეს ბოლშევიკებს უნდოდათ: ისინი სრულებითაც არ ფიქრობენ თფილისის და ამიერ-კავკასიის კომისარიატის აოხრებას; მხოლოდ თხოულობენ იმას, რაც მგზავრობისათვის აუცილებელია: ვაგონებს, პურს და სხვა. ამიერ-კავკასიის კომისარიატიც იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა უზრუნველჰყოს ეშელონების მშვიდობიანი მგზავრობა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს დელეგაციის წევრი, რომელიც გაგზავნილი იყო მომავალ ეშელონებთან მოსალაპარაკებლად,—ამხ. ელინეკი. როდესაც ჩვენ მივედით ეშელონებთან, ამბობს მომხსენებელი, ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ბოლშევიკი კუზნეცოვი და სხვა ბოლშევიკები, რომლებიც ჩვენთან აქ ჯარისკაცთა სექციაში მუშაობდენ, გულმოდგინეთ ეწევიან აგიტაციას ეშელონებში და ცდილობენ ისინი თფილისისკენ წამოიყვანონ და კომისარიატი ჩამოაგდონ. ჩვენ დანახვაზე ისინი დაიბნენ. ცხადია ასეთ სიურპრიზს არ ელოდენ. მე გაკვირვებული და მასთან აშფოთებული ვარ—ამბობს ორატორი—ნუ თუ შეიძლება ასე ადამიანები დამცირდენ და თავიანთ მიზნების მისაღწევათ არავითარ ტყუილს არ მოერიდონ. როდესაც ჩვენ ავუხსენით ეშელონებს, რომ კომისარიატს არაფერი მათი საწინააღმდეგო არა აქვს, პირიქით, იგი მზათაა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მიმავალ ეშელონებს,—განწყობილება იმდენათ შეცვალა, რომ ეშელონები აშკარა თანაგრძნობას გამოსთქვამდენ დელეგაციისადმი—ათავებს მომხსენებელი.

ემჩენ.

(დასასრული იქნება).

რუსეთის ამბები

გერმანელებს რუსეთში საქონელი შემოაქვთ. მოსკოვში მოვიდა გერმანიის 17 სავაჭრო ფირმის წარმომადგენელი, რომლებმაც ადგილობრივ კომერსანტებს წინადადება მისცეს ძრიერ დაბალ ფასებში იყიდონ გერმანიის საქონელი. გერმანელებმა ტროცკისაგან ნებართვა უკვე მიიღეს და ერთი კვირის შემდეგ მოსკოვში გერმანიიდან დიდძალ საქონელს მოელიან. საზღვართან გერმანელებს უკვე მომზადებული აქვთ 1400 საბარგო ავტომობილი.

უწესობა ნიკოლაევის რკინის გზაზე. ნიკოლაევის და მოსკოვ-კურსკის რკინის გზა მოსამსახურეებმა ჩაიგდეს ხელში. სადგურ მოსკოვი II-ს მოსამსახურეებმა სადგურის უფროსათ აირჩიეს მეისრე. რომ ამ არჩევნებისთვის სადღესასწაულო ელფერი მიეცათ, მთელი ვაგონი სპირტით გაუმასპინძლდენ ერთიმეორეს. ყველანი დაითვრენ. ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ ამ დღეს მოსკოვიდან არც ერთი მატარებელი არ დაძრულა, რადგან არავინ სამსახურში არ გამოცხადდა.

საზარელი აფეთქება. სამარაში ყოფილ გუბერნატორის სახლში, სადაც ეხლა საბჭო არის, ღამით საზარელი აფეთქება მოხდა. აფეთქების ხმა ისეთი ძლიერი იყო, რომ მთელმა ქალაქმა გაიღვიძა და ფეხზე დადგა. არავინ იცის რა მიზეზით მოხდა აფეთქება. სახლის ქვეშ საწყობებში იყო 3,000 ყუმბარა და 180,000 პატრონა. ჯერ-ჯერობით აღმოაჩინეს 70 მოკლული.

კერენსკი დონში. ამ დღეებში დონის ოლქში მისულა კერენსკი და რამდენიმე დღე დარჩენილა იქ. კერენსკის მოლაპარაკება ჰქონდა სავინკოვთან მიელო ის მის მიერ შედგენილ ბოლშევიკების წინააღმდეგ რაზმში. სავინკოვმა ურჩია არ დარჩენილიყო დონში. კერენსკი წავიდა დონიდან, საით კი არავინ იცის.

გენ. კორნილოვი ურალის ყაზახებთან. გენერალი კორნილოვი ურალში გაემგზავრა იქაურ ყაზახებთან მოსალაპარაკებლათ, რომ შეადგინოს ბოლშევიკების წინააღმდეგ ჯარი.

ყაზახებზე ბოლშევიკების გავლენა ქრება. დონის ყაზახებში ბოლშევიკების პროპაგანდას არავითარი გავლენა აღარ აქვს. ფრონტიდან დაბრუნებულ ბოლშევიკურ სულით გაჟღენთილ ახალგაზრდა ყაზახებს ყაზახთა ორგანიზაციები სასტიკათ სჯიან, სწკეპლავენ კიდეც.

უცხოეთი

ბრძოლა დარდანელთან. დარდანელთან ინგლის საფრანგეთის ფლოტთან ბრძოლაში დაიღუპა თითქმის ოსმალეთის მთელი ფლოტი (23 გემი და რამდენიმე ნაღმოსანი). ეს იყო მიზეზი იმ ხმების გავრცელების, თითქოს ინგლისელებმა დარდანელი დაანგრიესო და კონსტანტინოპოლი აიღესო. ზოგიერთ ცნობებით ინგლისელები და ფრანგები ეხლა ნაღმებს იღებენ დარდანელში.

ფორვერტის აზრი დამ. კრების გარეკაზე. ბერლინის ს.-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტსი“ დამფუძნებელ კრების გარეკას სამწუხარო მოვლენას ეძახის. „ეხლანდელ მთავრობასთან შეკრული ზავი გროშათ არა ღირსო“ ამბობს გაზეთი.

ციმერვალდისტები ლენინის შესახებ. საფრანგეთის ციმერვალდისტების გაზეთი სწერს:

დამფუძნებელ კრების გარეკით ლენინმა ნდობა დაუკარგა თავის მუშაობას ზავის შესახებ; არც ერთი წესიერი მთავრობა მოლაპარაკებას არ დაიწყებს ისეთ კაცთან, რომელიც მთელი რუსეთის ხალხის სურვილების წინააღმდეგ მოქმედებს.

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 30 ინვარს ნაძალადევის თეატრში მოხდა რ. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონის წევრთა კრება. დღის წესრიგში იყო შეტანილი შემდეგი კითხვები: 1) ამიერ კავკასიის სეიმი და ჩვენი დამოკიდებულება, 2) ზავი, 3) ყრილობის დელეგატების არჩევა. პირველი საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: პირველ რაიონის ს. დ. წევრთა კრება საჭიროთ სცნობს შექმნას ერთად ერთი მძლავრი ადგილობრივი სრულ უფლებიანი ორგანო რომელიც შესძლებს დაიცვას ამიერ კავკასიის ყველა ერების დემოკრატიის ინტერესები და რომელსაც შეუძლია მშრომელი ხალხი იხსნას მოსალოდნელ განსაცდელისაგან. აი, ასეთ მთავრობა, ასეთი ორგანო იქნება სეიმი, რომელიც შესძლებს განახორციელოს ცხოვრებაში ჩვენი ნაციონალური პროგრამმა.

ზავის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგ შინაარსიანი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში ამიერ კავკასიის დემოკრატიის ქონებრივ და პოლიტიკურ კრიტიკულ მდგომარეობას დაუყონებლივ მოვითხოვთ ზავს ყველა მეომარ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. თუ უკეთუ რუსეთმა ვერ შესძლო ეს, იმ შემთხვევაში ეს კითხვა გადასაჭრელათ გადაეცეს ამიერ კავკასიის სეიმს, რომ მან ჩამოაგდოს საერთა-შორისო ზავი, აგებული იმ დემოკრატიულ პრინციპებზე რომლებიც აღიარა რუსეთის რევოლიუციამ.

კვაჭაძე.

ფოთი. 28 იანვარს მოხდა ახლად არჩეულ ფოთის ს.-დ. კომიტეტის სხდომა. კომიტეტში შედის ცალკე უბნების მიერ არჩეული 15 წევრი: ნახუტურიდან—ვ. იმნაძე, პეტრე ქუთათელაძე, ვასო ნოდია; ქალაქის შუა ნაწილიდან—ლ. კილურაძე, მარგ. ქადეიშვილი; პარკიდან—გ. ჩიტაია, დ. გუბელაძე; ახალ სოფლიდან—გ. ლოლუა; ნაბადიდან—თომა ჯაკობია; ზემო-კუნძულიდან—სიმ. გოგიბერიძე, დავ. ჩაჩიბაია; ქვემო კუნძულიდან—ის. ლომთათიძე და ვაგზლიდან—ელისო სულაქველიძე, კირ. ჯაიანი და ანდღულაძე თავმჯდომარეთ აირჩეულ იქნა ამხ. ლავროს კილურაძე (ძველი კომიტეტის თავმჯდომარე), მის ამხანაგათ—გიორგი ჩიტაია, მოლარედ—მარგარიტა ქადეიშვილი და მდივნათ—შ. ჩოჩია.

თავმჯდომარის აზრით, საჭიროა მუშაობა განაწილდეს თანაბრათ ამხანაგებს შორის. ცალკე დაწესებულებების ხელმძღვანელობა უნდა მიენდოს ცალკე პირებს, ვინაიდან საქმე ამ შემთხვევაში უფრო ჩქარა გაკეთდებაო. კრებამ აირჩია ამ საქმის მოსაწყობათ კომისია, რომელშიაც შედიან: ლ. კილურაძე, გ. ჩიტაია და ვ. ნოდია.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს ხეტყის ქარხნების მუშათა გაფიცვა დამთავრდა დღეს, მუშებს მოუმატეს დღეში 5 მან., დანარჩენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება გადაიდო შემდეგი დროისთვის. ქალაქის გამგეობა იმუშავებს პროექტს მუშების ჰიგიენურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, სადაც, სხვათა შორის, განხილული იქნება მექანიკის მოწვევის საკითხიც. ამხ. ლ. შეგრელიძის თხოვნა ხმოსნობიდან მის განთავისუფლების შესახებ, კრებამ არ მიიღო და სთხოვა მას დარჩეს თავის თანამდებობაზე. თავმჯდომარის განცხადებით ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციას გადაუწყვეტია მილიცის უფროსის თანაშემწეთ მოიწვიოს პოდპ. ვანო სვანიძე. კრება ერთხმად უჭერს მხარს ამ კანდიდატურას. თფილისში 3 თებერვლისთვის მოწვეულ პარტიულ ყრილობაზე დასასწრებათ კრებამ აირჩია 3 დელეგატი: დ. ონიაშვილი, ვ. ნოდია და სოლ. პაიჭაძე.

თავმჯდომარე კითხულობს ანაკლიის ს.-დ. ორგანიზაციის განცხადებას წითელი გვარდიელების შესაიარაღებლათ თოფების გამოგზავნის შესახებ. კრებამ დაადგინა: გადაეცეს ეს თხოვნა დასაკმაყოფილებლათ წითელ გვარდიის შტაბს. ასეთივე თხოვნა შემოვიდა კულევის ს.-დ. ორგანიზაციისაგან. ამხ. ნიკ. ჭუმბურიძის წინადადებით არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს, არსებობს თუ არა კულეში ს.-დ. ორგანიზაცია, როგორია ამ ორგანიზაციის კომიტეტის შემადგენლობა და ამისდა მიხედვით დააკმაყოფილოს მათი თხოვნა.

მ. ჩ.

რკინის გზაზე

(წერილი ბათუმიდან).

როგორც ყველგან დღეს რკინის გზებზედაც საშინელი ანარქია არის გამეფებული. საერთო ცხოვრების არევ-დარევით სარგებლობენ ზოგიერთი ბნელი ძალები, სხვადასხვა ჯურის სპეკულიანტები და ცდილობენ მუქთად იმოგზაურონ და სპეკულიაციის მიზნით უფასოთ ზიდონ საქონელი. ჯარისკაცები დღეს ყოველგან დიდი უპირატესობით სარგებლობენ, უმთავრესად კი რკინის გზებზე. ჯარისკაცი თუ ხარ, მაშინ ყველაფერი გეპატიება, ასეთია დღეს სამწუხაროთ საერთო შეხედულება. ამიტომ დღეს ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეული არიან სხვადასხვა ჯურის სპეკულიანტები, ვაჭრები, კონდრაბანდისტები და ქურდ-ბაცაცებიც კი. მე თვითონ მოწამე ვიყავი ერთი ფაქტის. ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილს თფილისში მიმავალ სამგზავრო მატარებლის მეორე კლასის ვაგონით მიჰქონდა რამდენიმე ფუთი სიმინდის ფქვილი და ერთი ტომარა ლობიო. მას მოსთხოვეს ვაგონიდან საქონლის გატანა და „ბაგაჟათ“ მიცემა. მან ამაზე განრისხებული კილოთი უპასუხა: „ოთხი წელიწადი პოზიციაზე ვაყავი, მთელი ჩემი ახალგაზრდობა იქ ჩავსტოვე, სიკვდილს ძლივ გადავურჩი და ნუ თუ ამის შემდეგ უფლება არა მაქვს უფასოთ რამდენიმე ფუთი ფქვილი გადავიტანოვო“. მას გამოესარჩლენ მატარებელში მყოფი ჯარისკაცები და კინაღამ თვითგასამართლება არ მოახდინეს, ბოლოს ვინაობის გამოკითხვის შემდეგ ის აღმოჩნდა სამტრედიელი ვაჭარი სპეკულიანტი, რომელიც სისტემატიურად ზიდავდა თურმე საქონელს სხვადასხვა ქალაქებში და ორწილ და სამ წილ ფასებში ჰყიდდა.

ძალიან ხშირათ მთელ მატარებელში თითო ოროლა პირებს გარდა უფასოთ მოგზაურობდენ. ხშირად გამიგონია მგზავრისაგან: „რა ჯანდაბათ მინდოდა ეს ბილეთი, სულ ერთია მაინც არავინ არ მომთხოვსო“. აი ასე ასრულებენ კონდუქტორები და კანტრალიორები თავიანთ მოვალეობას. არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც საქონლის ამწონელი ათი ფუთის მაგივრათ 40—50 ფუთს საქონელს გზავნის რაღაც კაპეიკების გულისათვის. ამის გამო რკინის გზის შემოსავალი ყოველ დღე კლებულობს. ყოველ თვიურათ რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი აქვს. თუ ასე გაგრძელდა მოსალოდნელია რკინის გზაზე მოძრაობა სრულიად შესწყდეს. ფულის უქონლობის გამო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს ორი-სამი თვეა ჯამაგირები არ მიუღიათ. მდგომარეობა მეტად კრიტიკულია. რკინის გზის მუშა-მოსამსახურების ნივთიერი მდგომარეობა შედარებით სხვა წარმოებაში მომუშავეებთან ძალიან დაცემულია. განა შეიძლება დღევანდელ საშინელ სიძვირის დროს 100—120 მანეთით ცხოვრება? ამას დაუმატეთ ორისამი თვის განმავლობაში ჯამაგირების მიუღებლობა, რომ ნათლათ წარმოიდგინოთ მათი უკიდურეს ეკონომიური გაჭირვება.

რკინის გზის ადმინისტრაციამ ვერ შესძლო ამ ბოროტმოქმედების მოსპობა, ამიტომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მოკიდეს ხელი მასთან ბრძოლას. ბათუმში შესდგა რკინის გზის მუშა-მო-

---

4) ტრანსვალს.
5) ირლანდიას.
6) კუბას და პორტორიკას.

ჯოჯოხეთის კომისართა თავმჯდომარე
ეშმაკი.
მდივანი შაუმიანი.

პირდაპირი მავთულით

თფილისი. აპარატზე ზის ეშმაკი.

თელავი. აპარატთან ზის ვანო.

ეშმაკი. ამბობენ თელავში ანარქიამ იჩინა თავიო?

ვანო. მდგომარეობა კრიტიკულია. დაბრუნებული ჯარისკაცები სოფლებს იკლებენ, სძარცვავენ, სწვავენ, არბევენ.

ეშმაკი. მიზეზი?

ვანო. რა მიზეზი?

ეშმაკი. რისთვის სძარცვავენ, რა გვინდაო?

ვანო. ფულს ართმევენ. დღე და ღამ თოფის გრიალი ისმის.

ეშმაკი. ალბათ შეიარაღებული იქნებიან.

ვანო. შეიარაღებული არიან თოფებით, ალარავის არ ინდობენ.

ეშმაკი. რა პერსპექტივა გაქვს დასახული?

ვანო. ვერ გავარჩიე რას ამბობ.

ეშმაკი. პერსპექტივა როგორი გაქვს დასახული, ან როგორი კონიუნქტურა სჩანს?

ვანო. ჯარისკაცები გვიკლებენ, დეზერტირები და ყაჩაღები.

ეშმაკი. კონიუნქტურა?

ვანო. რომელი ტურაა, თოფები მოგვაშველეთ და ამათი ალაგმვა ჩვენი საქმე იყოს.

ეშმაკი. ხალხი შევიწროებული იქნება იმათგან, როგორი სიტუაცია შეიქმნა, გვიპასუხე.

ვანო. აკი მოგახსენე. ჩვენს გასაჭირს საზღვარი არა აქვს. შიმშილს, სიცივეს და სიღარიბეს ახლა კიდევ ეს ძარცვა გლეჯა დაერთო.

ეშმაკი. სჩანს სურსათის ნაკლებობასაც განიცდით.

ვანო. ვშიმშილობთ, ამხანაგო, ვშიმშილობთ.

ეშმაკი. მერე რა პერსპექტივა გაქვთ დასახული? მიპასუხე.

ვანო, რა გიპასუხო, ვერაფერი გავიგე.

ეშმაკი. რა კონიუქტურა და სიტუაციაა შექმნილი და რა პერსპექტივა გაქვთ დასახული. მიპასუხე.

ვანო. მშვიდობით.

ეშმაკი. მშვიდობით.

პატარა ფელეტონი

„ბედაური“

ერთხელ ერთ ვირსა,
(ვირებშიც ძვირსა)
ბედმა არგუნა ბედაურობა.
(მეწყერმა ჩანთქას იქაურობა,
საცა ამბავი მოხდა ამგვარი,
რომ დაგვავიწყა ყველა ზღაპარი).

ბედაურები თუმც დაიხოცა,
მაგრამ მუტრუკმა როდი იოცა
შეუსაბამო ეგ წარჩინება,
მან ტაიჭობაც აღარ ინება,
თავი მერანათ გამოაცხადა
და ამა ამბის მოწმე გაგვხადა.

დაჯდა ეზოში მდინარის პირად,
დიდი სათვალე დაიდო ცხვირად,
შემოიკრიბა გარს სხვა ვირები
(იმა უბანში გახლდენ ხშირები),
და განაცხადა:—ამხანაგებო!
აწ ამა მხარეს მე განვაგებო...

მე ახლავ დავწერ განაჩენებსო
და წაუკითხავ ხვალვე ცხენებსო.
ჩვენ არ გვსურს გვყავდეს მეტოქებიო,
რათ უნდათ ხარებს თავზე რქებიო?
რომ მეტი დაგვრჩეს საძოვარიო,
მოისპოს ყველა სხვა ცხოველიო.

გამოაცხადა ომი საზარი
და მთელმა ეზომ იწყო ზანზარი.
მოსპეს ცხენები, თხები, ხარები
აღარ დაზოგეს აღარც ცხვარები,
ძაღლს, ეზოს დარაჯს მოუღეს ბოლო,
გაჰკრეს რა თავში ფეხისა ფოლო.
მილეწ მოლეწეს ეზო ნაზარდი
და თავისუფლათ იწყეს ნავარდი.

თუმც მათ სულდგმული მოსპეს ყოველი,
მაგრამ გადარჩათ მარტოდენ მგელი,
და როს განგებით „ნაბედაურსა“
მომძმეთა ჰანგი უტკბობდა ყურსა
თავს წამოადგა ხროვა მგლებისა
და დარჩა მისგან ნაშთი ძვლებისა.

მორიელი.

შარადა

დანას რომ მკერდში ჩაიკრავ
გაჩნდება უეჭველათა,
სახელი, შარადისათვის
რაც გვმართებს საძებნელათა.
იმას მალამო გაჰკურნავს,
ან დანა დოსტაქარისა.
ან უკვდავების წყაროი,
მჩქეფარეთ მომქუხარისა.
ესე პირველი სახელი
საფუძველია შარადის,
სიტყვა ლამაზი, მაგრამ თან
ჭირთა მომგვრელი მარადის.

—

ან ცხენს დახედეთ ბარკალზე...
ეგ რა ნიშანი ატყვია?
რა დანა დაჰკრეს საბრალოს,
ან რა მახვილი, რა ტყვია?
მო, სიტყვა ესე გავკვეთოთ
ორ ნაწილ თანასწორათა
მეორე მივისაკუთროთ,
პირველი ვსტყორცნოთ შორათა.
ძიების ხანა გათავდა
აწ გვმართებს მათი შეწნება,
პირველს მეორე დაერთვის
ეგ ყველას მოგვეხსენება.
ჩვენი შარადაც მზათ არის
შარადა ოხერ-ტიალი,
მთელს ქვეყანაზე სჩანს მისი
წალმა-უკუღმა ტრიალი.
ყველა მას ეძებს, იმითი
სურთ სხვათა გაჩანაგება...
(მო ვალიკოსთან გავიქცე
ერთი მეც მომცეს ეგება).
ის ადამიანს იმონებს
ხელთა მისთაგან ნაშენი,
ეშმაკის კერძი შეიქმნეს
პირველათ მისი გაჩენი.

კოლო.

ფოსტა

ბლიკვაძეს
ბუტუნას
შექანჯაჯებულს
კ ა ხ ს
სატანას
როკოკოს
და სხ. და სხ.

ძმანო, ვიცი ხართ ზარმაცნი,
დაურჩით დედა თქვენსაო,
საქმე თუ არა გქონდეთ რა
დასწერდეთ მოსალხენსაო,
კონცერტში გამოახვევდეთ
ნახავდეთ ვინმე ბრძენსაო,
რომ მიუტანოს თფილისში
მწუხარე ეშმაკს ჩვენსაო.

„ეშმაკის მათრახისათვის“ წერილების წერა აკრძალული სრულიადაც არ არის. ყველას შეუძლია დასწეროს წერილი თუ კი შეუძლია. მოკლეს, შინაარსიანსა და ნიჭიერათ დაწერილ მასალას უპირატესობა ეძლევა.

ადრესი: Тифлисъ. Елизаветинская 132. Н. Каландадзе.

უცნობ მგოსანს. თქვენი ლექსი ფუტურისტების შესახებ ერთობ საინტერესოა და ამიტომ ვიზოგებთ. ამ ნომერში იბეჭდება მხოლოდ ეს რამოდენიმე კუპლეტები.

„მეორე მხარეს ფუნდრუკობს ლელი,
მსუბუქი არის, როგორაც ლელი“.

ქართული ენა იმზომ ხმოვანია, რომ „ლელი“-ს მილიონი რითმი შეიძლება მოუძებნ, მაგრამ ერთი მათგანი ყველაზე უკეთესი თქვენ გამოგრჩენიათ. ჩავყვეთ ქვევით.

„ისმის ტილების ნაზი პიანო,
ეგ არს გრძნეული ვალერიანო,
ელამუნება გრძნობით დაისებს
მათ პრანჭვა-გრეხით მუზას აივსებს“.

„აქ დარიანი კატას შეილოსნობს
ყანჩელი სანდრო ქართულად მგოსნობს“.
„ფუტურო ესე სრულ არს ვით რგოლი,
რადგან ამშვენებს ბრძენი გრიგოლი.
რითმაც მან გაა დედალ-მამალა
როს სათანადო დაჰკარგა ძალა“.

ამ უკანასკნელი კუპლეტის შესახებ არ შეგვიძლია პროტესტი არ განვაცხადოთ. ჯერ კიდევ ამხ. სერ. კლდიაშვილი შესცილებია ეშმაკს გრიგოლის სულში და ახლა თქვენც აცხადებთ მასზე პრეტენზიას. იცოდეთ, რომ გრიგოლი ეშმაკს ეკუთვნის, ხოლო ყველა დანარჩენები თქვენთვის დაგვითმია.

„როს ბალაგანის იღება კარი
ყველა მათგანი იმ დროს აქ არი.
იქვე სდგას დიდი ავტომობილი,
(მასში ზის ვინმე ქალი ცნობილი).

(შემდეგი იქნება)

სამსახურეების კრება, რომელმაც გამოიმუშავა ზომები ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად. რკინის გზის კომიტეტმა, როგორც ხელმძღვანელმა ორგანომ უკვე გადადგა შესაფერისი პრაქტიკული ზომები ნორმალურ მსვლელობის აღსადგენათ. რკინის გზის მუშამოსამსახურეებისაგან შესდგა შეიარაღებული რაზმი, რომლებიც დაყვებიან ყველა მატარებლებს, და ცდილობენ სპეკულიანტების და უსაქმოდ მოხეტიალე მგზავრების ალაგმვას. განსაკუთრებული ზომები არის მიღებული მაგარი სასმელების ჩამომტანთა წინააღმდეგ. ბათუმი დღეს განსაკუთრებულ პირობებშია. ფრონტიდან დაძრული ჯარი ყველა აქ იყრის თავს, ამ დროს მაგარი სასმელებით ვაჭრობა უნდა აიკრძალოს და მისი გამყიდავნი სასტიკათ უნდა იქნან დასჯილნი. რევოლიუციონურ ორგანიზაციებმა და მასთან რკინის გზის კომიტეტმაც მიიღეს შესაფერისი ზომები. რკინის გზის მუშებისაგან შემდგარი რაზმი ერთგულათ მუშაობს. ყოველ დღე 40—50 ფუთს არაყს, ღვინოს და სპირტს იჭერენ და იქვე ღვრიან. ეს ამხანაგები დაუფასებელ სამსახურს უწევენ თავისი მოქმედებით რევოლიუციას, და მათი მოქმედება თითოულ შეგნებულ მოქალაქეში თანაგრძნობას უნდა იწვევდეს. ჩვენ ვიცით, რომ მაგარი სასმელები ბათუმში უმთავრესად ჩამოაქვთ გურიიდან და იმერეთიდან. ჩვენ მოუწოდებთ ყველა რევოლიუციონურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაგვეხმარონ მაგარი სასმელებით მოვაჭრე სპეკულიანტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეცადეთ არც ერთი წვეთი მაგარი სასმელი არ იქნას ჩამოტანილი ბათუმში.

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს ევალება სასტიკი თვალყური ადევნოს, არც ერთი წვეთი არაყი და ღვინო არ იქნას ვაგონში შეტანილი. ბათუმის რკინის გზის კომიტეტმა უკვე გაგზავნა განსაკუთრებული წარმომადგენელი მუშა-მოსამსახურეებთან და სხვა კომიტეტებთან მოსალაპარაკებლათ. მე დარწმუნებული ვარ თითოული მოქალაქე ღირსეულათ შეასრულებს თავის მოვალეობას, რითაც ის ხელს შეუწყობს ბათუმში და საზოგადოთ რევოლიუციონურ წესრიგის დაცვას.

ვ. ბე—ლი.

თფილისის რკინის გზის სადგური. 1 თებერვალს ადგილობრივ კომიტეტის წევრებმა გაჩხრიკეს მატარებელი № 3 და აღმოაჩინეს აურებელი სპირტი და ღვინო. ეს შეატყობინეს ადგილობრივ კომისარს. სადგურის კომისარმა გასცა ბრძანება, რომ დაჭერილი სპირტი და ღვინო იქვე გადაეღვარათ. ამ დროს შემოდის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი ამხ. სანაძე და ამბობს, არიქა, მომეხმარეთ საწყობს სტეხავენო. ამ საწყობში ინახებოდა აურებელი თოფი, რევოლვერები, მანუფაქტურა და დაჭერილი მაგარი სასმელები. სადგურის კომისარმა იმ წამსვე მიიღო შესაფერი ზომები: შემოარტყა საწყობს შეიარაღებული გვარდიელები და სადგურის დამცველები. ბოროტ გამზრახველები დაიმალენ. ამის შემდეგ სადგურის აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა ამხ. ნოე დოლიძემ დაიჭირა ერთი შეიარაღებული, რომელიც ერთ ადგილას ამოთხრილ მიწაში დამალულიყო და თავზე საკაცე წაეფარებია. ბოროტ მომქმედი გამოდგა ვიღაც სომეხი, რომელსაც აღმოაჩნდა საჭირო იარაღები. როდესაც დაჭერილი მიიყვანეს სამორიგეო ოთახში გამოკითხვის შემდეგ ის გამოტყდა დანაშაულში და გასცა თავის ამხანაგებიც. ჩვენებას დაბნეულათ იძლეოდა, მაგალითად, როდესაც ეკითხებოდენ, თუ რომელ ბინაზე სცხოვრობენ მისი ამხანაგები, ის ასახელებდა ხან დიდუბეს და ხან ნაძალადევს. დამნაშავე ცალკე ყავთ დამწყვდეული.

ჯარისკაცებმა მოინდომეს მისი თვითგასამართლება, მაგრამ გადაარჩინეს.

საშა ქრისტინეშვილი.

მუშათა შორის

ბათუმი. 30 იანვარს მოხდა ბათუმის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა კრება. კრება მოეწყოთ ბალშევიკებს ჩუმათ, ალბათ იმიტომ, რომ მენშევიკები არ მოსულიყვენ და მით ბალშევიკების დემაგოგიურ გამოსვლებს მუშებში მეტი გავლენა ქონებოდა. ბალშევიკებთან კამათს ჩვენ შეჩვეული ვართ, მარა აქ აღსანიშნავია ბალშევიკების დასახასიათებლათ ერთი მეტათ სერიოზული გარემოება. როგორც მათმა წარმომადგენელმა აღნიშნა, ბალშევიკებს დეპოს მუშებში ჩვენ პირველათ ვხედავთ. დღემდი მათ ამ მუშებში არავითარი გავლენა არ ქონიათ. აბა, რით უნდა ავხსნათ დღეს მუშებში მათი შეპარვა? ორი-სამი თვეა რკინის გზის მუშა-მოსახურეებს ჯამაგირები არ მიუღიათ. ამ ნიადაგზე მუშებში დიდი გაჭირვება და უკმაყოფილება არის. მუშა-მოსამსახურეები თხოულობენ ჯამაგირების მოცემას, მარა ფულობის გამო დღესაც დაუკმაყოფილებელი არიან. ბალშევიკები ხომ უკმაყოფილო ხალხის პარტიაა და აი ამიტომ გამოეშურენ აქეთკენ, რომ მუშების გაჭირვება და უკმაყოფილება თავისი ვიწრო პარტიული მიზნებისათვის გამოიყენონ. პირველათ მოხსენება გააკეთა ბალშევიკ პეცოვმა. მან ჩვეულებრივათ ბევრი ილაპარაკა მენშევიკების რეაქციონერობაზე, ნაციონალისტობაზე, ხალხის მოღალატეობაზე და ბოლოს მუშებს ასეთი სიტ. მიმართა: თქვენ ორი-სამი თვე ჯამაგირები არ მიგიღიათ, ხელფას არ გიმატებენ, უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებით. ამაში კი დამნაშავე არიან მენშევიკები, რომლებსაც დღეს კავკასიაში მთელი ძალა-უფლება აქვთ ხელში ჩაგდებული. თუ გინდათ, რომ ხელფასი მოგიმატონ, ჯამაგირები მოგცენ, მდგომარეობა გააუმჯობესონ, მთელი ძალა-უფლება ბალშევიკებს უნდა გადასცეთო. მისი ასეთი დემაგოგიური სიტყვები და შეუწყნარებელი ცილისწამება მუშების პროტესტებს იწვევდა. ილაპარაკა კიდევ ორმა ბალშევიკმა, რომლებიც ერთ და იმავეს იმეორებდნენ. მენშევიკების მხრით ილაპარაკეს ამხ. გ. ანჯაფარიძემ, ფონშტეინმა და გოგოლაძემ, რომლებმაც ღირსეული პასუხი გასცეს მათ. მენშევიკების ორატორებმა საბუთებით დაუმტკიცეს კრებას ბალშევიკების დემაგოგიური და უტოპიური ლოზუნგების მავნებლობა, ფარდა ახადეს მათ ავანტიურისტულ მოქმედებას, რომელმაც გამოიწვია ანარქია, ცხოვრების ყოველ დარგში არევდარევა, ფრონტის გატიტვლება, პურის მაგიერ უპურობა და საყოველთაო შიმშილი, საყოველთაო დემოკრატიული ზავის მაგიერ სამოქალაქო ომი და ძმათა შორის სისხლის ღვრა, გაერთიანებულ რევოლიუციონურ დემოკრატიულ ფრონტის მაგიერ დემოკრატიულ ძალების დაქსაქსვა და დანაწილება, რაც საფრთხეს უმზადებს რევოლიუციას და ბრძოლით მონაპოვარ თავისუფლებას.

ილაპარაკეს ამიერ კავკასიის სეიმის მოწვევის აუცილებლობაზე, რომელმაც უნდა დაიწყოს თავისი მუშაობა 10 თებერვლიდან და რომელმაც უნდა განახორციელოს ყველა საჭირო სოციალური რეფორმები.

ცილისწამებელ ბალშევიკ პეცოვის წინააღმდეგ გადაჭრით ვაცხადებთ: მართალია ჩვენ მუშებს ორი-სამი თვეა ჯამაგირები არ მიგვიღია, სამუშაო ხელფასი რკინის გზაზე დაცემულია, მუშა-მოსამსახურეები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან, მარა აქ დამნაშავეა ის საერთო განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით და რომლის შექმნაში ბალშევიკებს უმთავრესი დანაშაული მიუძღვის. კრების ბოლოს წარმოდგენილი იქნა ორი რეზოლიუცია, ბალშევიკების და მენშევიკების. კრების დიდი უმრავლესობის თანაგრძნობა იყო მენშევიკებისაკენ. რაკი დაინახეს ბალშევიკებმა, რომ მათი წინადადება კრებაზე არ გავიდოდა, რეზოლიუცია მოხსნეს. აი ასე სამარცხვინოთ დამარცხდა ბალშევიკების პირველი გამოსვლა ბათუმის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე.

ვ. ბე—ლი.

თავრიზის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი სპეკულიანტების უსაზღვრო თარეშს საზღვარი არა აქვს თავრიზის რკინის გზაზე. ამის გამო ს.-დ. ორგანიზაციის ინიციატივით დაარსდა მილიცია, რომელიც კანტროლს უკეთებს მატარებლებს და ხშირით 3 ათას მანეთამდეც შემოდის სპეკულიანტების ბილეთებისა და ბაგაჟის ფული. დიდ ენერგიას იჩენენ ამ მხრით სად. უფროსები მ. კვალიევი და ღზიტოევი, რომლებმაც მილიციონერების დახმარებით ბევრი ბოროტმოქმედება აღმოაჩინეს. გამოირკვა, რომ ჯარისკაცის ფორმაში ეწყობიან ბნელი ძალები, რომლებიც აკეთებენ თავის საქმეებს და მგზავრებს ვაგონში შესვლის ნებასაც არ აძლევენ. მერე ვინ არის ეს გადაცმული ვაჟბატონები? ყოფილი პოლიციელები, ჟანდარმები, სტრაჟნიკები და წურბელა ჩარჩები და სპეკულიანტები, რომლებსაც ვერ მოუნელებიათ მრავალ-ტანჯული ხალხის განთავისუფლება და ყოველივე საშვალებით ცდილობენ წყალი ამღვრიონ, რომ ადვილათ შესძლონ თევზების დაჭერა. ამ მიზნით ჯულფაშიაც მოაწყვეს პროვაკაციული გამოსვლა, რამაც რამდენიმე უდანაშაულო მსხვერპლი შეიწირა და თუ არა ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული ამხანაგები ს. გ. ახვლედიანი და ნაგდალიევი რომლებიც საშინელ სროლის დროს შევარდენ ხალხში დასამშვიდებლათ, გაჩნდებოდა ის საშინელი შოვინისტური ცეცხლი, რომელსაც 1905 წ. ჰქონდა ადგილი თათარ-სომეხთა შორის. შევადგინეთ რევოლიუციონური ბიურო, რომელშიც შედის ყველა ერის და რევოლიუციონური ორგანიზაციების წარმომადგენლები. შევადგინეთ სომეხ-თათართა შერეული დრუჟინები, რომლებიც იცავენ წესრიგს. გაიგზავნა ახლომახლო სოფლებში თათარ-სომეხთა დრუჟინები და პროპაგანდისტები გავრცელებული პრავაკაციული ხმების ძირიან ფესვიანათ აღმოსაფხვრელათ. ამ ზომამ გასჭრა და აგერ მესამე კვირაა, რაც წესიერება არ დარღვეულა. აიკრძალა სასტიკათ თოფის გასროლა, ზოგიერთმა პროვაკატორებმა არ შეასრულეს ეს დადგენილება, მაგრამ შესძლეს მათი აღმოჩენა და ისინი ციხეში მოათავსეს. მგზავრებს რიგ-რიგობით ამგზავრებენ, რის გამო დიდათ შემცირდა ექსცესები. აღარავის არ უშვებენ სპარსეთში, თუ შესაფერი მოწმობა არ ექნა.

დაიწყო თავრიზის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა შტატის შემცირება. ამ გზის მმართველობის დადგენილების თანახმათ შტატი უნდა შემოკლდეს 75 პრ. ეს არ იწვევს დიდ უკმაყოფილებას. მხოლოდ ფულის ნაკლებობამ შექმნა აუტანელი მდგომარეობა. მესამე თვეა მუშებს ჯამაგირი არ მიუღიათ, ზოგიერთი აქაური მუშები ისეთ მცირე ჯამაგირს იღებენ, რომ პურის ფულათ არ ყოფნით. ასეთმა მუშებმა 27 იანვარს დაიჭირეს გზის ხელოსანი, მიიყვანეს ცენტრალურ კომიტეტში და უთხრეს, ან ფული მოგვეცით ან პურიო. ამჟამათ მათ ეძლევათ დღეში თითო გირვანქა პური. ბანკიდან ფულს არ იძლევიან. ახლა გაითვალისწინეთ შტატის შემცირების გამო დათხოვილ მუშათა მდგომარეობა, რომლებსაც არც ფული აქვთ, არც პური და თქვენ ნათლათ წარმოიდგენთ თუ რა ექსცესებია მოსალოდნელი. თავრიზის რკ. გზის უმთავრესი გამგეობა იმყოფება პეტროგრადში. იქ გაიგზავნა წარმომადგენელი, მაგრამ მიმოსვლის არევ-დარევის გამო იგი ვერ გასცდა როსტოვს. გაითვალისწინა, რა ყოველივე ეს ს. დ. ორგანიზაციამ, ცენტრალურმა კომიტეტმა და გზის მმართველმა, გაგზავნეს საქმის ვითარების გასაცნობათ ამიერ-კავკასიის კომისარიატში დელეგატი ამხ. ი ყაჭეიშვილი.

გურული მუშა.

პროვინცია

ხონი. ბალშევიკები რომ ოცნების ხალხია, ეს ვინ არ იცის. თუ მათ დავუჯერებთ, მთელი ქვეყნის გაბედნიერება ერთის სულის შებერვით შეიძლება. ამისათვის საჭიროა მხოლოდ სულ უბრალო რამ—ჯადოიანი ჯოხი, რომელსაც აიღებ ხელში და გააქნევ თუ არა, წამსვე გადაგეშლებათ სოციალიზმის სავსე სუფრა. ეს ჯოხი, მათი სიტყვით, უკვე იპოვა ლენინმა და ყოველ გაქნევაზე წყაროს თვალივით მოცვივა ქვეყნის გასაბედნიერებელი დეკრეტები. მაგრამ მაგარი ის გახლავთ, რომ ბალშევიკებმა ბედნიერების მაგიერ უბედურება გაამეფეს, მშვიდობიანობის მაგიერ სისხლის მორევები აჩქეფეს. მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც არ დრკებიან და... იტყუებენ თავს, ატყუებენ სხვებს. ყოველგვარ თავის ნაბიჯს უმოწყალოთ ბერვენ და ლამის არის კრილოვის ბაყაყის ბედი ეწვიოთ. ასეთი ნაცარქექია ბალშევიკები ხონშიაც არიან. ერთმა მათგანმა ფილიპე მახარაძის „ბრძოლა“-შიც ამოჰყო თავი და რიხით ამცნო თავის სამრევლოს: ხონი ბალშევიკებმა დავიპყრეთ და სოციალიზმის განხორციელებასაც შევუდექითო. („ბრძოლა“, №№ 7—8). წერილში იმდენი სიცრუეა და ტრაბახია, რომ პირდაპირ გაგიკვირდებათ. ყველამ ბევრი იცინა, ვინც იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება და არც გვინდოდა პასუხი გაგვეცა—აბა ყველა მოვარჯიშეს და ფანტაზიორს თუ ეკამათე, გაზეთი ამას მოუნდება. მარა მას შემდეგ კი, რაც „ბრძოლამ“ პირდაპირ ხელობათ გაიხადა ასეთი სიცრუეების ბეჭდვა (გურია, მაგალ.), მერე კი გადავსწყვიტეთ ორიოდე სიტყვით ვუპასუხოთ გატაცებულ კალმოსანს, რომელიც სწერს: „დამფუძნებელ კრების არჩევნებში „ძლევა-მოსილმა“ მენშევიკთა პარტიამ მიიღო ხონში იმდენი, რამდენიც „ვიღაც“ ბალშევიკმაო“. ასე ატყუებს ფილიპე მახარაძეს ხონელი ფანტაზიორი, ციფრები კი აი რას ამბობენ: ხონში მენშევიკებმა (№ 1) მიიღეს 1693 ხმა, ბალშევიკებმა კი—737. ანგარიში თუ იცის „ბრძოლის“ კორესპონდენტმა, დამეთანხმება, რომ ეს ორი რიცხვი ერთმანეთს სავსებით არ ეთანხმება. მარა ევების მთელმა რაიონმა იხსნას იგი. აქ № 1 მიიღო 12053, მე 5 № კი 1375. როგორც ხედავთ, არც აქაა დიდი რამ სანუგეშო მისთვის. მაშ რათ მოიცრუპენტელა აგრე ბ-ნმა ვინ-ბანმა? არ იცის, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აბია, თუნდაც ის ბალშევიკურის ჯიშის იყოს! ახლო-მახლო სოფლებიც ჩვენიაო,—დასძენს როლში შესული მეოცნებე, რომლის ერთმა ამქარმა ამგვარი შინაარსის დეპეშა მოათავსა პეტროგრადელ „პრავდა“-ში ერთი სოფლის შესახებ: „ხონი,—ეწერა დეპეშაში,—გაცნობებთ, რომ ლანირის მრავალრიცხოვანმა ორგანიზაციამ ბალშევიკის მოხსენების შემდეგ ერთხმათ დაადგინა თავდადებულათ იბრძოლონ ლენინის მთავრობის გასამაგრებლათ, თქვენთან დავიხოცებითო“ და სხვა ასეთები. მერე იცით, რამდენი ხმა მიიღეს ამ სოფელში? სულ რვაოდე,—არც მეტი, არც ნაკლები. სასაცილო ხალხია ხონელი ბალშევიკები: იქ ლენინს ახარებენ, აქ კი ფილიპე მახარაძეს, საერთოდ კი ატყუებენ, როგორც მკითხველებს, ისე საზოგადოებას. არც გაემტყუნებათ—მეოცნებეთა ბუნება ასეთია: ისინი მანამ იფრიალებენ ოცნების სამეფოში, სანამ ფრთებ ჭამოხვალნი ზღაპრულ დედალივით ძირს არ დაენარცხებიან და მწვავე სინამდვილეს არ იხილავენ. დეე, ეთამაშონ ცეცხლს, როცა ხელს მოიწვავენ, მაშინ დაიხევენ უკან. კიდევ ვიტყოდით რაიმეს ბ. ვინბანის სხვა ცნობებზე, მარა განა ღირს ამაზე დროს დაკარგვა? ვიტყვით მხოლოდ, რომ დანარჩენი მისი ცნობებიც ასეთივე ღირებულებისაა და სრულ სიცრუეს შეიცავს. ეს კი მართალია, რომ აქაურმა ბალშევიკებმა საერთო მუშაობა აათორიაქეს, გადაამტერეს საზოგადოების ერთი ნაწილი მეორეს და მით უმგვანო დემაგოგიას ყოველგვარ დაწესებულებათა გარშემო დასასრული არა აქვს, თუმცა სავსებით უნაყოფოთ, მაგ., კოოპერატივის წლიურ კრებაზე, რომელზედაც ცნობილი ანდრია ბახტაძე გამოუშვეს ოქროპირათ. ოჰ, ხონის ბალშევიკებო! რაც უნდა ცუდათ დასრულდეს თქვენი ფანტაზიორობა, ისტორია იმას მაინც არ დაივიწყებს, რომ ანდრია ბახტაძე თქვენ მიერ განკაცდა. ის თავიდანვე ჩრჩულად დაჰყვა პარტიას და რაკი დღეს თქვენ მიითვისეთ და მიტინგებზე თავმჯდომარეთაც კი ირჩევთ, შეგაბეროთ განგებამ, ვითარცა აბრაამ და სარა. მასწავლებელთა ფილიალი, რომლის თავმჯდომარეც ანდრო ბრძანდება, და თქვენ აუცილებლივ დიდის სახელით გადაეცემით შთამომავლობას ამ ვაჟბატონის შეფარებისთვის. ბ. ვინ-ბანმა არ დაივიწყა არც ხონელ ბალშევიკების საბუტაფორიო სამკაული—ბუდუ მდივანი—და მის გარშემოც აამოძრავა თავისი ოცნება. ნუ გაუმტყუნებთ — на мышку и кошка звѣрь.

აქაური.

ბორჯომი. 28 იანვარს მოხდა გლეხთა წარმომადგენლების კრება. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ეს კრებები იმართებოდა არა ნორმალურ პირობებში. თუმცაღა ჩამოსულები უწოდებდენ თავიანთ თავს ხალხის წარმომადგენლებს, მაგრამ რამდენათ მართალი იყო ეს, ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანოების მიერ ჯერ-ჯერობით შეუმოწმებელია. ჩამოსულები შეიკრიბენ ადგილობრივ კლუბის შენობაში. კრებას დაესწრენ აგრეთვე ყველა ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენლები, მაგრამ გლეხები მათ თავიდანვე უნდობლათ შეხვდენ და თავმჯდომარეთ „თავისი“ კაცი აირჩიეს. თავმჯდომარემ მოითხოვა კრების მიზნის ახსნა. მას მოახსენეს, რომ ჩვენ ჩამოსული ვართ ბორჯომში იმ მიზნით, რომ მოვახდინოთ ყველა კომიტეტების წევრების ხელ-ახალი არჩევნებიო. კომიტიტის წევრებმა განუმარტეს მათ, რომ აღმასრ. კომიტეტი შესდგება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა წარმომადგენლებისაგან და თქვენ კი უფლება გაქვთ მხოლოდ და მხოლოდ თავის წარმომადგენლების არჩევისა. ამ განმარტების შემდეგ წამოდგა ერთი მათი „მოწინავეთაგანი“ და განაცხადა: ჩვენ არჩევნებს ვიწყებთ დიდებიდან და არა პატარაებიდანო. ამის შემდეგ მიმართა პირადათ მამულის კომისარს ამხ. მ. ახალაძეს და ვანუცხადა, რომ აი ჩვენ გადაყენებას ვიწყებთ შენგან, შენ არ გვინდიხარ და შენს ადგილზე ვირჩევთ ბაკურიანის მცხოვრებ პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ინსპექტორს ილარიონ ივანოვსო. ეს უკანასკნელი კი ის ვაჟბატონია, რომლის შესახებ ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში გამოძიება სწარმოებს მისი პოლიტიკური არა საიმედოების შესახებ, და როგორც ირკვევა, ის ბრძანდება 1905 წლის ცნობილი ჯალათი. სიტყვას თხოულობს ამხ. ახალაძე. კრება მას მხოლოდ არჩევნების შემდეგ აძლევს სიტყვას. ახალაძემ წარმოსთქვა ვრცელი საპროგრამო სიტყვა, რომელშიაც ნათლათ დაასურათა დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა და კომისარის მოვალეობა. მან სთქვა: მე ვაკეთებდი და გაძლევდით იმას, რისი გაკეთება და მოცემა შეიძლებოდა დღევანდელ პირობებში, მაგრამ არავითარ კომისარს არ შეუძლია იმის მოცემა, რაც თვით რევოლიუციამ ვერ მოგვცა. ბევრმა იგრძნო ამხ. ახალაძის სიმართლე, მაგრამ რას გახდებოდენ იმ ავანტიურისტებთან, რომლებიც, სარგებლობდენ რა დრო და გარემოებით, ლამობდენ ხალხის ყურადღების დამსახურებას. ისინი უტიფრად იცავდენ თავის „სასახელო“ კანდიდატს. გამოირკვა ფაქტი, რომ კრების ხელმძღვანელად გამოდიოდენ უმთავრესად ყოფილი „სტრაჟნიკები“, „ობიეზდჩიკები“, პოლიციელები და სხვა რევოლიუციონურ ორგანოებით უკმაყოფილო ელემენტები. დამტკიცდა რა ეს უკანასკნელი, ამხ. ნ. ნასიძემ ყველა ბორჯომის რევოლიუციონურ ორგანოების სახელით განაცხადა ამ ანარქისტულ კრების წინააღმდეგ პროტესტი და მის თანამოაზრეებმა დემონსტრატიულად დასტოვეს კრება. თუმცა ჩვენ ჯერ დანამდვილებით არ ვიცით, თუ რამდენათ უმაგრებს ზურგს მათ სოფლის შეგნებული ნაწილი, მაგრამ თუ მათ მოახერხეს გლეხობის რევოლიუც. ორგანოებზე ჩამოშორება, აშკარაა მთელი სოფლის ცხოვრება ყირამალა გადატრიალდება და რომ შევსძლოთ სოფლათ რევოლიუციონურ წესრიგის დამყარება, ჩემის აზრით, საჭიროა: ხალხის ფართო მასის ორგანიზაციულათ შეკავშირება, რევოლიუციონურ ორგანიზაციების განახლება, ხელახალი არჩევა და შევსება, წითელი გვარდიის მოწყობა, რამოდენიმე ათეული შეიარაღებული რევოლიუციონერის ყოლა, რომ სოფლათ კონტრ-რევოლიუციონერები ალაგმონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მუშაობა სოფლათ უნაყოფო იქნება.

ნოდე

ს. ბახვი (გურია). ბახვის საზოგადოებაში მოხდა აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა არჩევნები. თუმცა უწინდელი კომიტეტის შემადგენლობა მუშაობდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ დროს შესაფერი უნარი მაინც ვერ გამოიჩინეს. ამიტომ მათ თავის ნებით გადადგენ თანამდებობიდან და მოითხოვეს ხელახალი არჩევნები. ახლათ არჩეულმა წევრებმა კომისარათ აირჩიეს ამხ. ლადიკო თხილაიშვილი.

აქვე მოხდა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს წევრთა წლიური კრება. გამგეობამ გააცნო კრებას სარევიზიო კომისიის მიერ დადასტურებული გასული წლის ანგარიში. კრებამ ანგარიში ერთხმათ დაამტკიცა და გულწრფელი მადლობა გამოუცხადა როგორც გამგეობას, ისე სარევიზიო კომისიას დაუღალავი შრომისათვის. შემდეგ მოხდა არჩევნები. ძველი გამგეობის თხოვნის თანახმათ აირჩიეს ახალი გამგეობა. კარგი იქნება თუ ახალი გამგეობა მიბაძავს ძველს და გაუძღვება საქმეს ერთგულათ.

შავი.

წერ. რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ვლადიმერ გ—ძე ურუშაძეს, კოსტანტინე გ—ძე დობორჯგინიძეს და გერმანე ე—ძე თოიძეს, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი შრომა და ენერგია და მოაგროვეს თავიანთ ნაცნობ-მეგობრებში, თანახმათ ლიხაურის ქ. შ. წ. კ. გ. ს. გ. გ—ს დავალებისა, გამგეობის მიერ განზრახული სახალხო სახლის (თეატრის) ასაგები ფონდის გასაძლიერებლათ, პირველმა ვ. გ. ურუშაძემ თავის მხრით 10 მ. ნაც.-მეგ. 428 მ.—438 მ. კ. გ. დობორჯგინიძემ თავის მხრით 10 მ. ნაც.-მეგ. 103 მ.—80 კ.—113 მ.—80 კ. გ. ე—ძე თოიძემ თავ. მხრით 20 მ. ნაც.-მეგ. 32 მ.—52 მ.*).

გამგეობის მონდობილობით ი. გორგოშიძე.

---

*) უადგილობის გამო სიას ვერ ვბეჭდავთ.
რედ.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.
სახალხო სახლ. არს. ქართვ. წარმ. მმართველი წრე კვირას 4 თებერვალს 1918 წ. წარმოდგენილი იქნება მეორედ ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა
№ 21 †
ნომერი ოცდაერთი ჯვრით
დრამა 4 მოქმ. ია ეკალაძესი. მოქმედება სწარმოებს 1907 წ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ვ. მარგველაშვილი, ნ. ნინონი, ბ-ნნი ნ. გოცირიძე, მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, სალაყაია, თავდგირიძე, გ. ჯაბაური, ამბ. ივერელი, ვ. კობახიძე, ალ. შანშიაშვილი და ნ. ჭანკვეტაძე.
დასაწყისი საღამოს 7 საათ. ადგილების ფასი 1 მ. 40-დან 35 კ-მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ-დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათ. წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია.
შემდეგი წარმოდგენა 13 თებერვალს.
რეჟ. კ. შათირიშვილი, რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე. ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია. (2—1)

დაკარგა
თფილისიდან სად. საჯაოხომდის მგზავრობის დროს „პასპორტი“ № 260, მოცემული ჩოხატაურის სოფლის სამართველოსაგან, სევერიანე გერასიმეს ძე ბერძენიშვილის სახელობაზე—ამოწერილი. საზოგადოების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა „პასპორტს“ ვსთვლი გაუქმებულად. (1—1)

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
გ. დონხინი
ყოფილ ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი ქალი
რ. გ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეჰრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი.
მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ. —7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული ჰალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

თფილისის სახელოსნო კლუბი
კვირას, 4 თებერვალს დილის 10 ს. გამგეობისაგან დანიშნულია კლუბის წევრთა
წლიური საზოგადო კრება
დღის წესრიგი:
1) 1917 წლის ანგარიში.
2) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3) გამგეობის საბჭოს წევრთა არჩევნები 1918 წლისათვის.
4) სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5) სარეკომენდაციო კომისიის არჩევნები.
კლუბის წესდების 38 მუხლის თანახმად საზოგადო კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. (2—2)

მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი, № 1.